CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 24 ივნისი, 2009 წელი. №140 (2178) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ევროკავშირის მონიტორინგის მისია - ყველაფერი დამოკიდებულია მასზე

A3

ევკუროვის საქმის ძიება დაიწყო

A7

ფასდაკლებების ოთხი დღე

A10

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

რატომ არ გამოგვდის დემოკრატია, ანუ ვლურალიზმის შიში

გია ნოდია

მაინც რატომ არ გამოგვდის დემოკრატია საქართველოში? ყველაზე პოპულარული და სახალხო თეორიაა, რომ ლიდერები არ გვივარგა. ჯერ იყო და ზვიადი გამოდგა ფაშისტი, გიჟი და ცოლისდის ჭკუაზე მოარული. აქედან ხსნის ლოზუნგი - ყველა მინუს ერთი . ედუარდი კომუნისტური სტერეოტიპებიდან ვერ გამოვიდა და მართვად კორუფციაზე ააგო სახელმწიფოს კონცეფცია. ესე იგი, რა ვქნათ? საქართველო შევარდნაძის გარეშე . მიშა მოვიყვანეთ - ისიც გიჟი და დიქტატორი აღმოჩნდა, ჰალსტუხებს იღეჭება, პლუს სოროსელია, ანუ ჯიგროობას და მართლმადიდებლობას ებრძვის. წადი, მიშა, წადი .

ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ამბობდა, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო. ჩვენი ბრძენი ხალხი ჯიუტად ცდილობს, მეოთხედ შეაბიჯოს იმავე მღვრიე მორევში და რატომღაც ჰგონია, რომ ახლა მაინც გაუმართლებს. ამის სერიოზული კრიტიკა უხერხულია. ამას პოლიტიკური იდიოტიზმი ჰქვია.

ერთობა და პლურალიზმი

მაგრამ მართლა რად არ გამოგვდის ეს ოხერი დემოკრატია? მიზეზი ერთზე მეტია, მაგრამ მთავარი შემდეგია: პლურალიზმის შიში. ლიბერალური დემოკრატიის გული სწორედ პლურალიზმია, ანუ ვითარება, როდესაც საპირისპირო შეხედულებების და ინტერესების ადამიანები აღიარებენ ერთმანეთის უფლებას, იყვნენ განსხვავებულები და გარკვეული წესების მიხედვით აგვარებენ საკამათო პრობლემებს. დანარჩენი პროცედურებია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ უაზრო და არაქმედითუნარიანი, თუ აკლია ძირითადი - პლურალიზმის სულისკვეთება. ჯერჯერობით, ეს პრინციპი საქართველოში მცხოვრები ადამიანების დიდი ნაწილისთვის - განსაკუთრებით იმათთვის, ვინც პოლიტიკური ცხოვრების დინამიკას განსაზღვრავს, - უცხო და მიუღებელი რჩება.

გაგრძელება A4 გვერდზე

ლიტვა კვლავ საქართველოს თავისუფლების სადარაჯოზეა

აგვისტოს ომის დროს ლიტვამ, ისევე როგორც ბალტიისპირეთის დანარჩენმა ქვეყნებმა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს საიმედო მოკავშირეა. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში ვიზიტით მყოფ თავის ლიტველ კოლეგა ვალდას ადამკუსს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და მას საქართველოს უმაღლესი სამხედრო ჯილდო - ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა. მთაწმინდაზე ვილნიუსის სახელობის სკვერის გახსნის ცერემონიალის დროს ბალტიელი სტუმრის მიმართ საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერების გამომხატავი სიტყვები არ დაიშურა.

დღეს არა მხოლოდ ვხსნით სკვერს, არამედ პატივს მივაგებთ ლიტვის პრეზიდენტ ვალდას ადამკუსს. ქართველ და ლიტველ ხალხს ბევრი რამ გვაკავშირებს. ლიტვამ და საქართველომ საბჭოთა კავშირის დროს ხელში აიღეს ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშები, - საერთო წარსული გაიხსენა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, შარშან, აგვისტოში, როდესაც 80 ათასი დამპყრობელი ჯარისკაცი, 2 ათასზე მეტი სამხედრო ტექნიკა და 200 თვითმფრინავი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა, თბილისის ცენტრში ხალხი ხელში დროშებით იდგა და ეს არ იყო კონცერტი, როგორც ყველას ჰგონია.

ეს იყო გამოწვევა, როდესაც საქართველომ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვას არ შეურიგდება. ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას. ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია, მაგრამ მტერს მიწის არც ერთ გოჯს არ დავანებებთ, - აღნიშნა სააკაშვილმა და ისიც გაიხსენა, რომ აგვისტოს ომის დროს, თბილისის პარალელურად, ვილნიუსშიც იმართებოდა საქართველოს მხარდამჭერი აქციები.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, აგვისტოს ომის მიზეზი ის კი არ ყოფილა, რომ ვინმეს მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს მთავრობა არ მოსწონს, არამედ ეს ომი მოსკოვმა იმიტომ წამოიწყო, რომ საქართველო თავის დამოუკიდებლობას იცავს.

თავის მხრივ, ლიტვის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს დღეს სჭირდება უფრო ძლიერი მხარდაჭერა, ვიდრე ყველა ევროპულ ქვეყანას ერთად.

გაგრძელება A2 გვერდზე

AFP ' 2009

პოლიტიკური ფინანსები

დათო გავისონია

ლევან გაჩეჩილაძეს ჯერჯერობით არ განუმარტავს თავისი განცხადება საპროტესტო მოძრაობის დასაფინანსებლად უცხოეთიდან მოზიდული თანხის შესახებ. გაჩეჩილაძის ასეთი პოზიცია მიუღებელია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერ ნინო ბურჯანაძისთვის. ორი ლიდერის განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, პარლამენტის წევრებმა საპროტესტო აქციების დაფინანსების საკითხის განმარტება თითოეულ მათგანს მოსთხოვეს.

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე საპროტესტო მოძრაობას საეჭვო წარმომავლობის თანხით აფინანსებს. ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი მზად არის, რომ საკუთარი ეჭვები სასამართლოში დაადასტუროს. გაბაშვილმა ნინო ბურჯანაძე, კანონდარღვევის გარდა, მოქალაქეების მიმართ უპასუხისმგებლო ქცევაში დაადანაშაულა. **საზოგადოებას და საკუთრივ აქციის მონაწილეებსაც უფლება აქვთ, იცოდნენ, კონკრეტულად ვისი და რა გზებით მოპოვებული ფული შემოდის საქართველოში პოლიტიკური პროცესების წარმართვისათვის,** - აღნიშნა გოკა გაბაშვილმა.

მან თვითონვე სცადა სავარაუდო დამფინანსებლების დასახელება. კერძოდ, გაბაშვილმა გაიხსენა ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძის მიერ უცხოეთში გამართული შეხვედრები, რომელიც ფარულად არის გადაღებული. **ბიწაძე ცნობილ კრიმინალ შაქრო კალაშოვთან დაახლოებული პირია და ის უკრაინაში ყოფნისას რუსეთში მოღვაწე ოლიგარქ შალვა ბრიუსთან ერთად შეხვდა კალაშოვს. ამასთანავე, ბიწაძემ უნდა განმარტოს, ვინ არის მამთაჟი, რომელსაც კიევში ყოფნის დროს შეხვდა,** - განაცხადა გაბაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

სომხეთისა და საქართველოს პრეზიდენტები ერევანში პირისპირ ისაუბრებენ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მეუღლე სანდრა რულოვსთან ერთად, სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის მიწვევით დღეს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ერევანს ეწვევა. საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად სომხეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში საზეიმო მიღება გაიმართება, რის შემდეგაც სერჟ სარქისიანისა და მიხეილ სააკაშვილის პირისპირ შეხვედრა შედგება. აღნიშნული შეხვედრის დასრულების შემდეგ ორი ქვეყნის დელეგაციები უკვე გაფართოებული შემადგენლობით გამართავენ შეხვედრას. შემდეგ კი საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტები ერთობლივ პრესკონფერენციას მოაწყობენ. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტი ასევე შეხვდება სომხეთის პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარქისიანს. ერევანში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი სომხების გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ციცერნაკაბერდის მემორიალს მოინახულებს და გვირგვინით შეამკობს. ამავე დღეს მიხეილ სააკაშვილს დაგეგმილი აქვს შეხვედრა ერევნის სახელმწიფო უნივესიტეტში პროფესორ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მიხეილ სააკაშვილი ერევანს 25 ივნისს დატოვებს.

სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით 2008 წლის 30 სექტემბერს იმყოფებოდა. საქართველოში მეგობრულ ატმოსფეროში განხორციელებული ვიზიტისას სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა გვირგვინებით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი. სარქისიანმა ასევე გამართა შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მას საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. **ჯი-ეიჩ-ენი**

აილა ნიინიმაა

გარდაიცვალა **აილა ნიინიმაა** - ჟურნალისტი, **ფინეთ-საქართველოს** და **ფინურ-კავკასიურ** საზოგადოებათა დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარე.

ბევრი ჩვენი თანამემამულისათვის უცნობი ეს პატრიოტი ფინელი ქალი საქართველოს და კავკასიას 80-იანი წლების ბოლოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების დროს დაუმეგობრდა. დაუმეგობრდა ერთხელ და სამუდამოდ, ყოველგვარი მერყეობისა და ეჭვიანობის გარეშე, მისთვის შორეული საქართველოსა და კავკასიის თავისუფლების იდეა უცნაურად შეისისხლხორცა და თავისი დიდი მეგობრების, **ზვიად გამსახურდიას** და **ჯოჰარ დუდაევის** საერთო საქმის ერთგული დარჩა ბოლომდე - ისე, როგორც ეს ჭეშმარიტ თანამებრძოლს შეეფერება.

აილა ჩვენს ქვეყანაში და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების არსს ზუსტად ხედავდა და ჩვენი დროისათვის არაპოპულარული პირდაპირობით აშუქებდა. ჭეშმარიტება პოლიტკორექტულობისა და ევფემიზმებისათვის არასოდეს გადაუყოლებია; ჩვენი უახლესი ისტორიის თითქმის ყველა მწვავე ეპიზოდის უშუალო მონაწილეს დამკვირვებლის კომფორტული, ნეიტრალური პოზიციისათვის თავი არასდროს შეუფარებია; თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში უპასუხოდ არ დაუტოვებია არცერთი მტრული თუ თავგზაამბნევი პუბლიკაცია ან საჯარო გამოსვლა, მიმართული იმ კეთილშობილი ბრძოლის წინააღმდეგ, რომლის მონაწილედაც თვლიდა თავს. ამ ერთი ადამიანის ძალისხმევის შედეგი იყო ის, რომ ფინური საინფორმაციო სივრცე პრაქტიკულად გაიწმინდა იმ დეზინფორმაციული ნიაღვრისაგან, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული ყოველგვარი ფილტრის გარეშე აღწევდა სხვაგან. და კიდევ: აილა ნიინიმაას დაუღალავმა უფლებადაცვითმა საქმიანობამ ბევრ ქართველ პატრიოტს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

აილას ცხადად ახსოვდა ის შემართული და ღირსეული საქართველო, რომელიც 80-იანი წლების მიწურულს იხილა და შეიყვარა. ღირსეულ საქართველოსაც უყვარს და ახსოვს აილა.

მარიკა აბაიშვილი
გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ყოფილი მთავარი რედაქტორი

გოგი გულბანი
თენგიზ ჩაჩავა
ნიკო ხაჭაპურიძე
მერაბ კიკნაძე
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერები

ლიტვა კვლავ საქართველოს თავისუფლების სადარაჯოზეა

პირველი გვერდიდან

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს ტერიტორიების ერთი მეხუთედი ოკუპირებულია და საქართველო დიდი საფრთხის წინაშე იმყოფება, - აცხადებს ვალდას ადამკუსი და იმედს გამოთქვამს, რომ ლიტვასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება.

მინდა, ამაყ და ცოცხალ ქართველ ხალხს ვუსურვო დამოუკიდებლობა, მშვიდობა და ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაცია," - დასძენს ლიტვის პრეზიდენტი.

საინტერესოა, რომ ვილნიუსის სახელობის სკვერის გახსნის დროს მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე წუთით თარჯიმნის ფუნქციაც შეითავსა . მან თავისი ლიტველი კოლეგის სიტვის თარგმნა დაიწყო, რადგან სკვერში ადგილობრივი მოსახლეობაც იყო შეკრებილი და სააკაშვილს სურდა, მათ სრულად მოესმინათ ადამკუსის განცხადებები.

ამ პროცედურით ვალდას ადამკუსიც კმაყოფილი დარჩა : მან სიამოვნებით აღნიშნა, რომ ასეთი რანგის თარჯიმანი არასდროს ჰყოლია ...

ლიტვის პრეზიდენტი გუშინ თბილისის ვიცე-მერ მამუკა ახვლედიანსაც შეხვდა. ამასთან, თბილისის მერიის შენობაში, ლიტვის საელჩოს ინიციატივით, ლიტვური ენის შემსწავლელი უფასო კურსი გაიხსნა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 19-21 ივნისს ქალაქ ვილნიუსში გაიმართა მერების საერთაშორისო ფორუმი - კულტურა, როგორც ქალაქების მამოძრავებელი ძალა , რომლის ფარგლებშიც ვილნიუსის მერმა ვილიუს ნავაცკასმა და გიგი უგულავამ დედაქალაქების დაძმობილების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

საკუთარი ინფორმაცია

პოლიტიკური ფინანსები

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, მან ყურადღება გაამახვილა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს მოქმედების ტაქტიკაზე. **რასაც ბურჯანაძის პარტია აკეთებს, ეს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოა და ვიცი, ვინ ხარჯავს ფულს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ,** - დასძინა გოკა გაბაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ბრალდებებს პასუხი გასცა ნინო ბურჯანაძის მეუღლემ ბადრი ბინაძემ. მისი თქმით, **გაბაშვილი ბინძური პროვოკატორია და ასეთ პროვოკაციებზე კომენტარის გაკეთება არ ღირს. არ მეგულება საქართველოში ვინმე, ვინც გაბაშვილის ბინძურ გამოხდომებს დაიჯერებს. თუ აქვს რაიმე დამამტკიცებელი საბუთები, მოიტანონ და სასამართლოში დადონ.**

გარდა ამისა, მან ყურადღება გაამახვილა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, უპარტიო ლევან გაჩეჩილაძის განცხადებაზე, რომელიც საზღვარგარეთიდან მისაღებ ფინანსებზე აკეთებდა აქცენტს. თორთლაძემ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერისგან გამჭვირვალობა მოითხოვა: **აუცილებელია, გაეცეს პასუხი, თუ ვინ აფინანსებს ოპოზიციას, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში მცხოვრები რომელი კონკრეტული ბიზნესრაც შეეხება უკრაინაში გამართულ შეხვედრებს, სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა უფროსმა განმარტა, რომ მეგობართან შეხვედრებს არავის ვუთანხმებ, მით უმეტეს, იქ არანაირ ფულზე არ ყოფილა საუბარი.**

საპარლამენტო უმრავლესობის გარდა, 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციების დაფინანსების შესახებ გუშინ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გია თორთლაძემაც ისაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, უპარტიო ლევან გაჩეჩილაძის განცხადებაზე, რომელიც საზღვარგარეთიდან მისაღებ ფინანსებზე აკეთებდა აქცენტს. თორთლაძემ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერისგან გამჭვირვალობა მოითხოვა: **აუცილებელია, გაეცეს პასუხი, თუ ვინ აფინანსებს ოპოზიციას, კონკრეტულად რომელ ქვეყანაში მცხოვრები რომელი კონკრეტული ბიზნესმენი აძლევს ოპოზიციას ფულს და რა მიზნით.** მიუხედავად იმისა, რომ თორთლაძისთვის უცნობია, ეხებათ თუ არა გაჩეჩილაძის განცხადება რუსეთში წასულ საქართველოს ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს, ფრაქცია ძლიერი საქართველოს თავმჯდომარემ 90-იანი წლების დასაწყისში არსებული ვითარება გაიხსენა. **რუსეთის სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა კოვალოვმა განაცხადა, რომ რუსეთს 1991-1992 წლებში საქართველოში მომხდარი გადატრიალება 65 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა,** - განმარტა საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ. თუმცა გია თორთლაძემ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირება არ სურს: **სწორედ ყოველგვარი ეჭვების გასაქარწყლებლად არის საჭირო, რომ გაჩეჩილაძემ თავის განცხადებაზე მეტი განმარტება გააკეთოს.**

საპარლამენტო ოპოზიციის წევრის განცხადებას გუშინვე უპასუხა ლევან გაჩეჩილაძემ. პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის თქმით, მისი ფულის მოძრაობა გამჭვირვალეა და ქონებრივ დეკლარაციაშია ასახული. რაც შეეხება უკვე არაერთხელ ნახსენებ, უცხოეთში მცხოვრებ დამფინანსებელს - მის ვინაობას და დაპირებული თანხის რაოდენობას, გაჩეჩილაძემ ამ ინფორმაციის განმარტებისგან კვლავ თავი შეიკავა. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, მან დაფინანსების პირობა ბიზნესმენებისგან მიიღო, თუმცა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით. გარდა ამისა, გუშინ გაჩეჩილაძემ საპარლამენტო ოპოზიციის წევრს კომისიის შექმნა ურჩია, რათა ვარდების რევოლუციის დამფინანსებელთა ვინაობა გაარკვიოს.

ნიკა გილაურის მტკიცებით, იაფი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დღე-ღამეში ათასი ადამიანი ეზღვევა

იაფი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დღე-ღამეში, საშუალოდ, ათასი ადამიანი ეზღვევა. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პროგრამის მიმდინარეობა შეაფასა და აღნიშნა, რომ ის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეების მხრიდან მეტ ინტენსიურობას ელოდებოდა. "ჩვენ მეტ ინტენსიურობას ველოდით, თუმცა პროგრამაში მოქალაქეთა ჩართვის აქტივობით ბოლო პერიოდში კმაყოფილები ვართ. მათი აქტიურობა დღითიდღე უფრო იზრდება და სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ჩვენ, ჯანდაცვის მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე, პროგრამის ფარგლებში შესაბამისი რეგისტრაციის ვადა 3 კვირით გავაგრძელეთ," - განაცხადა გილაურმა და იმედი გამოთქვა, რომ მოქალაქეთა აქტიურობა მომავალშიც გაგრძელდება.

შრომის, ჯანმრთლეობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, სამინისტრო იაფი დაზღვევის პროგრამაში 60 ათასზე მეტი მოქალაქის ჩართვას მოელის. როგორც მან მთავრობის გუშინდელ სხდომაზე აღნიშნა, მიმდინარე თვის დასაწყისში ამ კუთხით მაღალი აქტივობა დაფიქსირდა.

"ივნისში რეგისტრაცია იმაზე მეტმა ადამიანმა გაიარა, რაც გასულ თვეებში, რაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო," - განაცხადა კვიტაშვილმა, რომლის განმარტებითაც, პროგრამაში ამ ეტაპზე 40 ათასზე მეტი მოქალაქეა ჩართული. იაფი დაზღვევის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეთა შესაბამისი რეგისტრაციის ვადა 30 ივნისიდან 21 ივლისამდე გახანგრძლივდა. მოქალაქეები, რომლებმაც შესაბამისი დაზღვევის შემდეგ იაფი სადაზღვევო პოლისი მიიღეს, ამ ბარათით ერთი წლის განმავლობაში ისარგებლებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

პიერ მორელიმ რუსეთის საგარეო უწყებაში შეხვედრები გამართა

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიერ მორელიმ შეხვედრები გამართა. ცოტა ხნით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ გრძელდება საუბრები რეგიონში შექმნილ რთულ ვითარებაზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნული კონსულტაციები ამიერკავკასიაში ეუთო-სა და გაერო-ს მისიების ფუნქციონირების შეწყვეტის ფონზე ჩაივლის. კარასინის თქმით, რუსეთს არაერთგზის განუცხადებია, რომ იგი დაინტერესებულია ქართულ-აფხაზური საზღვრის სიახლოვეს საერთაშორისო მისიების შენარჩუნებით. "ჯერჯერობით ასევე არ არის მიღწეული შეთანხმება რეგიონში ეუთო-ს მისიის გაგრძელების შესახებ. რუსეთი ამ მისიის ორად გაყოფას მოითხოვს - საქართველოში და სამხრეთ ოსეთში, თუმცა ეუთო-ს წევრი ზოგი სახელმწიფო ამ ინიციტივას ბლოკავს. ამიტომაც მოსკოვში იმედს იტოვებენ, რომ ევროკავშირის მისია აფხაზეთსა და სამხერთ ოსეთს საქართველოს აგრესიისგან დაიცავს," - იუწყება რუსული მედია.

ჯი-ეიჩ-ენი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მეგობრობის ახალი ეტაპი

დიმიტრი ავალიანი

ობამა-მედვედევის შეხვედრას 6 ივლისს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება - აცხადებენ ვაშინგტონში. აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება სურს, თუმცა ამის გაკეთება საქართველოს უსაფრთხოების ხარჯზე წარმოუდგენელია. გარდა ამისა, აშშ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არასდროს აღიარებს.

იმის შესახებ, რომ აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა, შესაძლოა, საქართველოსთვის დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდეს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს სტეინბერგმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა

მისი თქმით, ობამა-მედვედევის შეხვედრა იქნება შანსი არა მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად, არამედ ასევე **"იმის უზრუნველსაყოფად, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობები დაეხმაროს უსაფრთხოებას და კეთილდღეობას ევროატლანტიკურ სივრცეში."**

"ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბება, თუ ამას შევძლებთ, დაეხმარება კეთილდღეობას და უსაფრთხოებას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო. და სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი, - განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ აშშ **ვერ ხედავს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობას რეგიონის რომელიმე ქვეყნის ან რომელიმე ჩვენი პარტნიორის უსაფრთხოების ან კეთილდღეობის ხარჯზე."**

როგორც, თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ განაცხადა, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს მუშაობის დაწყებას ობამა-მედვედევის შეხვედრის წინ საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აშშ-საქართველოს ერთობლივი საბჭო მუშაობას ოფიციალურად ვაშინგტონში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტის დროს შეუდგა. სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომლის განხორციელებისთვისაც საბჭო შეიქმნა, თანამშრომლობის ოთხ სფეროს მოიცავს - თავდაცვა და უსაფრთხოება, ვაჭრობა და ეკონომიკა, დემოკრატია და ხალხებს შორის კონტაქტები და კულტურული გაცვლა. საბჭოს ფარგლებში შესაბამისი ოთხი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლებიც შესაბამის სფეროებში თანამშრომლობის განვითარებაზე იმუშავებენ.

როგორც საბჭოს პირველი სხდომის შემდეგ ჯეიმს სტეინბერგმა განაცხადა, საბჭოს შექმნა **"ჩვენს ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი და ღრმა მეგობრობის ახალ ეტაპს"** წარმოადგენს.

"ეს შეხვედრები აღნიშნავს იმ ვალდებულებას, რომელიც ჩვენ ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების - საქართველოსთან ჩვენი ქარტიის განხორციელების კუთხით გაგვაჩნია, რადგან ჩვენ ვაღრმავებთ ამ სტრატეგიულ პარტნიორობას," - განაცხადა სტეინბერგმა.

რაც შეეხება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას, მისი თქმით, აშშ განაგრძობს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის ამაღლების მხარდაჭერას. როგორც სტეინბერგმა განაცხადა, აშშ დაეხმარება საქართველოს, **"განახორციელოს რეფორმები, რომლებიც ნატო-ში გაწევრიანებისთვის არის საჭირო."** მისი თქმით, შეხვედრაზე ასევე იქნა განხილული საქართველოს დაგეგმილი მონაწილეობა ავღანეთის ოპერაციაში.

სახელმწიფო მდივნის მოადგილემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ვაშინგტონი აფასებს საქართველოს ხელისუფლების **"თავშეკავებულ პასუხს საპროტესტო აქციებზე." "ჩვენ განვაგრძობთ საქართველოსთან მუშაობას, რათა გავაძლიეროთ მისი დემოკრატია და რეფორმები,"** - დასძინა მან.

"ეს არის ისტორიული დღე საქართველოსთვის, როგორც მაშინ, როდესაც ქარტიას მოვაწერეთ ხელი. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში, რომელსაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოვაწერეთ ხელი," - განაცხადა, თავის მხრივ, გრიგოლ ვაშაძემ.

ჩვენ ვითვალისწინებთ აშშ-ს რჩევებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ვიყოთ დიდი პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორები და ისეთივე თავდადება გამოვიჩინოთ, როგორსაც აშშ საქართველოსადმი იჩენს," - დასძინა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

აშშ არასდროს ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ისე როგორც ოფიციალური ვაშინგტონი არასდროს აღიარებდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს სსრკ-ს ნაწილად. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ რადიოსადგურ "ამერიკის ხმას" განუცხადა. მისი თქმით, რუსეთი ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაერო-ს უშიშროების საბჭოში წელიწადში ორ-ორ რეზოლუციას აწერდა ხელს და მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა ოფიციალურმა მოსკოვმა ეს პირობა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შეჭრით დაარღვია.

ბრაიზას თქმით, აშშ-ს იმედი აქვს, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ რუსეთის პოზიცია შერბილდება, საქართველო კი კვლავაც **სტრატეგიულ მოთმინებას** გამოიჩენს.

ვაშინგტონში ყოფნისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ს სახელმწიფო მდივანს მისი ჯანმრთელობის მიზეზით ვერ შეხვდა - ჰილარი კლინტონი მოტეხილ ხელს მკურნალობს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამავე მიზეზით ჰილარი კლინტონი არ დაესწრება "დიდი რვიანის" საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტს იტალიაში, სადაც 25 ივნისს, კლინტონის ნაცვლად, მისი მოადგილე უილიამ ბერნსი გაემგზავრება.

ჯო ბაიდენის ვიზიტი საქართველოში

მნიშვნელოვანი სიგნალი

ვერიკო თევზაძე

ქართველი დიპლომატები და პოლიტიკოსები შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ოფიციალურ ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ისინი იმ გარემოებას აღნიშნავენ, რომ ბაიდენის საქართველოში ჩამოსვლის პერიოდისთვის ამერიკისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შეხვედრა უკვე დასრულებული იქნება. აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოში აცხადებენ, რომ ბაიდენის სტუმრობა მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ რუსეთისთვისაც.

თეთრი სახლი, რომელიც ივლისის თვეში უკრაინასა და საქართველოში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს, შენიშნავს, რომ ბაიდენი აღნიშნულ ქვეყნებში დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭრად ჩადის.

ქართველ პოლიტიკოსთა შეფასებით, საქართველოში ამერიკის ადმინისტრაციის მეორე პირის ვიზიტი მნიშვნელოვანი მოვლენაა - კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკა თავის სტრატეგიას არ ცვლის და საქართველო რუსეთის იმპერიის პირისპირ მარტო არ დარჩება.

ბაიდენი საქართველოში პირველად შარშან, აგვისტოს ომის შემდეგ იმყოფებოდა. სწორედ მან წარადგინა ამერიკის კონგრესში ინიციტივა ჩვენი ქვეყნისთვის მილიარდიანი დახმარების გაწევის შესახებ.

ამერიკაში საქართველოს ელჩი ბათუ ქუთელია ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მას რამდენიმე კონტექსტში განიხილავს. რაც მთავარია, ქუთელია ორი ქვეყნის ურთიერთობაში მომავლის სამოქმედო გეგმებზეც საუბრობს.

ის ფაქტი, რომ ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი საქართველოში მაშინ ჩამოდის, როცა ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შეხვედრა დასრულდება, ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია. ეს ვიზიტი გარკვეულწილად იმ ერთწლიანი თანამშრომლობის პროგრამასაც უკავშირდება, რომელიც შარშან აგვისტოს ომის შემდეგ იყო ინიცირებული - როდესაც ბაიდენმა საქართველოსთვის მილიარდიანი დახმარების ინიციატივა დააყენა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ერთობლიობაში ერთწლიანი სამუშაო გეგმის შეფასება იქნება. ამასთანავე, მოხდება კონკრეტული სამომავლო გეგმის დასახვა, რომელიც მომავალ წელს უნდა განხორციელდეს, - განაცხადა ბათუ ქუთელიამ.

როგორც მედიასთან კომენტარისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ აღნიშნა, ბაიდენის პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. შესაბამისად, სწორედ ეს საკითხები განიხილება ვიზიტის ფარგლებში. **გარდა ამისა, სხვა ორმხრივ თემებზეც ვიმსჯელებთ. მაგალითად, საქართველო-ამერიკის სტრატეგიული ქარტიის შესრულებაზე. ვიმსჯელებთ ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაზე. ასევე საქართველოს ევროატლანტიკურ ასპირაციაზე,** - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, საუბარი ასევე შეეხება ქვეყნის შიდაპოლიტიკას და საქართველოში მიმდინარე რეფორმებს.

უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ გოკა გაბაშვილის აზრით, ბაიდენის საქართველოში ვიზიტი განსაკუთრებით ეფექტურია ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან მიმართებაში: **ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა აღინიშნოს ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობა. აქცენტი გაკეთდეს ამერიკის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერაზე, იმაზე, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლი ერები არასდროს დარჩებიან მარტო იმპერიების პირისპირ, მათ ეყოლებათ მეგობრები და მოკავშირეები.**

გავრცელებული ცნობის თანახმად, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი 20-24 ივლისისთვის არის დაგეგმილი. ჯოზეფ ბაიდენი ჯერ უკრაინაში ჩავა, შემდეგ კი საქართველოს ესტუმრება.

ევროკავშირის მონიტორინგის მისია - ყველაფერი დამოკიდებულია მასზე

დევიდ ჯ. სმიტი
სპეციალურად "24 საათისთვის"

გასულ კვირას ავთანდილ ახალაძე ნამსხვრევებისგან მიღებული ჭრილობების შედეგად დაიღუპა. იგი სასწრაფო დახმარების მანქანას მართავდა, რომელიც ფუგასურ ჭურვსა თუ ხელნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე აფეთქდა. მისი სასწრაფო დახმარების ავტომობილი ევროკავშირის მონიტორინგის მისიის შემადგენლობაში იყო, რომელიც მეგრულ სოფელ მუჟავას სიახლოვეს ახდენდა პატრულირებას. **"ძლიერ ვარ შეშფოთებული, რადგან ჩვენი წინასწარი ძიების შედეგები იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ეს ჩვენს პატრულზე გამიზნული თავდასხმა იყო,"** - განაცხადა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმა.

ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში 2008 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედებს. ამის საჭიროება 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომის ცხელი ფაზის დასრულების შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეულმა ექვსპუნქტიანმა შეთანხმებამ განაპირობა. მისიის 246 შეუიარაღებელ დამკვირვებელს, რომლებიც 26 ქვეყანას წარმოადგენენ, მინდობილი აქვთ მონიტორინგის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ რუსეთი მათ არ უშვებს იმ ქართულ ტერიტორიებზე, რომლებიც ომის შემდეგ აქვს ოკუპირებული.

მუჟავა საქართველოს მიერ კონტროლირებად სამეგრელოს რეგიონში მდებარეობს - სწორედ იმ ადგილზე, რომელიც მდინარე ენგურსა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონს აკავშირებს. სოფელში მთავარი გზა ოკუპირებული ზონიდან შედის და არა სამეგრელოს მხრიდან. გავრცელებული ცნობებით, ეს გზა დანაღმულია, რის გამოც მუჟავაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები და მიმდებარე ტერიტორიებზე მყოფი მოსახლეობა, ფაქტობრივად, ულუკმაპუროდ არის დატოვებული. ასევე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზი სეპარატისტები ეთნიკურ ქართველებს თავიანთი საცხოვრებელი სახლების დატოვებას აიძულებენ - იმ მიზეზით, რომ ეს ადგილები თავდაცვის ობიექტების მშენებლობისთვის სჭირდებათ.

ევროკავშირის მონიტორინგის მისიაზე მიტანილი იერიშიდან მეორე დღეს, გამთენიისას, თავდასხმა მოხდა მუჟავაში განლაგებულ ქართული პოლიციის საგუშაგოზე. 06:30 საათზე ტყვიამფრქვევის ცეცხლით "კავკასიონის" ელექტროგადამცემი ანძის სიახლოვეს ელექტროხაზი დაზიანდა, ხოლო რუსულმა ძალებმა ელექტროგადამცემი ხაზის შესაკეთებლად მისულ ქართულ პერსონალს გზა ჩაუკეტეს.

სამეგრელოში ეს ჩვეულებრივი დღე არ არის. რაღაც მოხდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა.

მუჟავაში ახლახანს განვითარებული მოვლენები შეიძლება შეფასდეს, როგორც აფხაზი სეპარატისტების გამბიტი - ერთდროულად მიიტაცონ და ეთნიკური წმენდა ჩაატარონ საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთ პატარა ნაწილზე. ძნელი სათქმელია, რომ მუჟავაში ბომბები და ყუმბარები საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის მასშტაბურ ესკალაციას წინასწარმეტყველებდეს. აფხაზეთის შიგნით და მის გარშემო ასეთი წინასწარი გაფრთხილებებისკენ მოწოდება წინ უსწრებდა 2008 წელს საქართველოზე რუსეთის თავდასხმას.

როგორც ჩანს, მუჟავაში ჩადენილი მკვლელობები ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაფრთხილება იყო, რათა მათ არ ჰქონოდათ მეტი ამბიცია, ვიდრე საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის პატრულირებაა.

გასულ კვირას ოფიციალურმა მოსკოვმა ვეტო დაადო საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის განახლებას, რომელსაც აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრიდან მთელ ტერიტორიაზე მიუწვდებოდა ხელი. კიდევ უფრო ადრე რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში მოქმედ ეუთო-ს მისიას, რომელიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონას აკვირდებოდა. ასეთი ქმედებებით და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის განზე დატოვებით რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოების თვალს მოარიდა ყველაფერი ის, რასაც ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ახალგორის რაიონსა და სოფელ პერევში სჩადის.

იდუმალების პირბადის ქვეშ რუსეთს შეუძლია, გააგრძელოს ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე სამხედრო ლოჯისტიკის მზადება, რაც შესაძლოა, საქართველოზე მორიგ თავდასხმასაც ითვალისწინებდეს. ამავდროულად რუს ოკუპანტებსა და მათ ხელდასხმულ ადგილობრივ მარიონეტებს შეუძლიათ კრიმინალური მოღვაწეობის გაჩაღება, ადგილობრივ მცხოვრებთა დატერორება და საკუთრების ჩამორთმევა განუკითხაობის პირობებში, როგორც ამას მუჟავაში სჩადიან.

ახლა უკვე ევროკავშირის მონიტორინგის მისიაა ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია საერთაშორისო საზოგადოების თვალისა და ყურის ფუნქციის შესრულება და მისი გაფართოება. რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან შეთანხმებას, რაც ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მოქმედების საფუძველია. მოსკოვს ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება არა აქვს, ხოლო ევროკავშირის მონიტორინგის მისია უკვე შექმნილია და აქვს კიდეც გარკვეული გამოცდილება საქართველოში. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მას არ ძალუძს, აიძულოს რუსეთის არმია.

დასავლურმა სახელმწიფოებმა, ბრიუსელში ევროკავშირის ეროვნული მთავრობებისა და ვაშინგტონის კოორდინირებული მოქმედებებით გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის საკითხში, აშკარა გახადეს, რომ მათ ერთობლივად შეუძლიათ დადებითი ეფექტის მიღწევა. სამწუხაროდ, რუსეთმა ვეტო დაადო გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის განახლებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ტრადიციული ვერბალური დადასტურებით, რაც საუკეთესო შედეგი იქნებოდა. თუმცა, დასავლურმა სახელმწიფოებმა აიძულეს მოსკოვი, საჯაროდ აეღო პასუხისმგებლობა დაშვებული შეცდომის გამო, რაც მეორე საუკეთესო გამოსავალი იყო.

ახლა მათ ეს დიპლომატიური წარმატება უკვე შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმატებასთან ადგილზე, რათა გაგრძელდეს რუსეთზე ზეწოლა ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესასრულებლად. კერძოდ, ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ მუშაობა უნდა გააგრძელოს, ხოლო მისი მანდატი ოქტომბერში ულაპარაკოდ უნდა განახლდეს. ამ მუშაობის ნაწილი ასევე უნდა გახდეს მცდელობა, მოიპოვონ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე შესვლის შესაძლებლობა მანდატთან შესაბამისობაში.

შემდეგ კი ევროკავშირმა ღიად უნდა მიანიშნოს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაფართოების სურვილზე - კერძოდ, მანდატი გავრცელდეს მისიაში პოლიციური ჯარების ჩართვაზე საქართველოსთან, როგორც მასპინძელ ქვეყანასთან, შეთანხმების საფუძველზე.

რასაკვირველია, ამას რუსეთი შეეწინააღმდეგება. მთავარია, იყოს ლოგიკური და ამავე დროს მტკიცე დიპლომატია, რათა მოსკოვმა დაიწყოს დასავლეთთან ურთიერთობაში მთავარი ასპექტების გაგება - წინ ხომ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაა.

დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი), პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)

მუჟავაში აფეთქებისას დაზიანებული გადამცემი ხაზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში მომხდარი აფეთქებისას დაზიანებული 500-კილოვატიანი გადამცემი ხაზის აღდგენითი სამუშაოები გუშინ დაიწო. "საქრუსენერგოს" ხელმძღვანელ შოთა მაისურაძის განცხადებით, პირველ რიგში, ანძის დემონტაჟი უნდა მოხდეს და შეიცვალოს ფუნდამენტი. მისივე თქმით, აღდგენით სამუშაოებს, სავარაუდოდ, 10 დღე დასჭირდება, თუმცა აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია უსაფრთხოების გარანტიები, რადგან ამ ადგილიდან, დაახლოებით, 500 მეტრში რუსულ-აფხაზური ე.წ. საგუშაგოა განთავსებული. აღნიშნული ანძის მეშვეობით ვლადიკავკაზში საქართველოდან ელექტროენერგიის იმპორტი ხდებოდა. ანძა 22 ივნისს, ააფეთქეს. ამ დროიდან დამკვეთს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველო ავღანეთში 500 ჯარისკაცის გაგზავნას აპირებს

საქართველო ავღანეთში ნატო-ს ძალების უსაფრთხოების აღდგენისათვის 2010 წელს 500 ჯარისკაცის გაგზავნას აპირებს. ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც თეთრმა სახლმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის საქართველოში ვიზიტის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. რამდენიმე ხნით ადრე საქართველოს ელჩმა ნატო-ში რევაზ ბეშიძემ განაცხადა, რომ საქართველო ავღანეთში "ერთი როტა" ჯარისკაცების გაგზავნას აპირებს. საქართველო ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში უკვე მონაწილეობდა - 2004 წლის სექტემბრიდან-დეკემბრამდე. მაშინ საქართველოდან ავღანეთში 50 სამხედრო იყო გაგზავნილი. ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე ნატო-ს ხელმძღვანელობით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში მრავალეროვანი კონტრტერორისტული დაჯგუფება მონაწილეობს და მას ამერიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ხელმძღვანელობა მეთაურობს. კონტრტერორისტული დაჯგუფების ძირითადი ამოცანაა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მოძიება და განადგურება. კერძოდ საუბარია ისლამისტურ მოძრაობა "თალიბანზე" და საერთაშორისო ტერორისტულ ქსელ "ალ-კაიდაზე".

ჯი-ეიჩ-ენი

ჩინეთში A/H1N1-ის საწინააღმდეგო ვაქცინა გამოუშვეს

ჩინელმა ფარმაცევტებმა ვირუს **A/H1N1**-ის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი პარტია შექმნეს. პრეპარატს კლინიკური გამოცდის გავლა მოუწევს. ამ პროცესს 40-დან 50 დღემდე დასჭირდება. ამის შემდეგ პრეპარატი, დაახლოებით სექტემბრისთვის, საავადმყოფოებში მოხვდება. ახალი გრიპის წინააღმდეგ ვაქცინის შექმნა ჩინელებმა ივნისში დაიწყეს. პრეპარატზე ქვეყნის 11 ფარმაცევტული კომპანია მუშაობს. ამ დროისთვის გამოშვებულია 90 ათასი დოზა და სამომავლოდ მისი 360 მილიონამდე გაზრდა იგეგმება. ვაქცინაზე სამუშაოდ მთავრობამ 5 მილიარდი იანი ანუ, დაახლოებით, 725 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

ჯი-ეიჩ-ენი

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბელგიის ელჩი მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ ბელგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შარლ გისლენი მიიღო. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ბელგიის სამეფოს შორის როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი განიხილეს. საუბარი შეეხო ბელგიური მხარის ინიციატივით თბილისში რეგიონული განვითარების ფონდის დაარსების საკითხს.

ჯი-ეიჩ-ენი

"საქართველოში ეუთო-ს მანდატის გაგრძელების პერსპექტივა ძალიან რთულია"

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დორა ბაკოიანისი აცხადებს, რომ საქართველოში ეუთო-ს მანდატის გაგრძელების პერსპექტივა ძალიან რთულია. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ 27-28 ივნისს, ეუთო-ს სამიტის ფარგლებში რუსეთთან პოზიციების დაახლოება მოხერხდება. "მინდა, ბოლომდე გულახდილი ვიყო. ჩემი აზრით, ეს ძალიან რთული პროცესია. იმედი მაქვს, რომ 27-28 ივნისს, ეუთო-ს სამიტის ფარგლებში, რუსეთთან პოზიციების დაახლოება მოხერხდება. დიალოგი ყოველთვის მარტივი არ არის, მით უმეტეს, როდესაც ინტერესების სხვადასხვაობაა, მაგრამ საბერძნეთი ასეთ რთულ ვითარებაშიც კი მოლაპარაკებების გაგრძელების მომხრეა," - განაცხადა ბაკოიანისმა.

ჯი-ეიჩ-ენი

რატომ არ გამოგვდის დემოკრატია, ანუ ჟურნალიზმის შიში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ლიბერალური დემოკრატიის ანტიპოდია ერის მთლიანობის იდეოლოგია, რომელსაც, მის უკიდურეს გამოვლინებაში, ფაშიზმი ჰქვია. ეს ტერმინი მოდის იტალიური სიტყვიდან fascio, რაც ნიშნავს კონას . შესაბამისი მეტაფორა კარგად გვახსოვს ფილმიდან გიორგი სააკაძე : მტერი ერთ და ორ ღეროს (fasces) გადატეხავს, მაგრამ შეკრულ კონას - ველარ. ანუ, ძალა ერთობაშია. ცალკე გასული ღეროები ან მათი ჯგუფები დისიდენტები და მოღალატეები არიან, მათ შესაბამისად უნდა მოექცე.

რისი თქმა მინდა - არ არის ძალა ერთობაში? ერის ერთიანობის ქადაგება ფაშიზმია? არა, რაღაც დონეზე ერთიანობა აუცილებელია. ამიტომ თანამედროვე დემოკრატია ორი პრინციპის სინთეზია: მათ შეიძლება ლიბერალური და რესპუბლიკური დავარქვათ. ერთ მხარეს დგას ადამიანის უფლებები - პირველ რიგში, უფლება, იყო უმრავლესობისგან განსხვავებული. მეორე მხარესაა პატრიოტიზმი, შენი ქვეყნის სიყვარული და მისთვის თავდადება. რატომ უნდა დადო თავი სამშობლოსთვის? ერთი იმიტომ, რომ შენია და სხვაგვარად არ ძალგიძს. მეორე იმიტომ, რომ თუ ქვეყანა ძლიერი არ იქნა, იმ შენს პიროვნულ უფლებებსაც არავინ დაიცავს. ლიბერალიზმი და რესპუბლიკური პატრიოტიზმი ისტორიულად გადაბმულია, თუმცა სულ ერთმანეთთან კამათშია.

ერთობა და პლურალიზმი ერთმანეთს უნდა შეუხამო. ამიტომაა დემოკრატია ძნელი და ყველას არ გამოსდის. თუ მარტო პირველ პრინციპს აიღებ, გამოგივა ტოტალიტარიზმი (ქართულად თუ ვთარგმნით - მთლიანობის იდეოლოგია). მარტო პლურალიზმი, დანაწევრება თანხმობის მექანიზმების გარეშე, სამოქალაქო ომისკენ მიმავალი გზაა.

ნუ ჩავეხუტებით ერთმანეთს (თუ ძალიან არ გვინდა)!

ევროპასა და ამერიკაში, სადაც თანამედროვე დემოკრატია გამოიგონეს, მისკენ მიმავალი გზა ომებზე და შიდა დაპირისპირებაზე გადიოდა. პირველ რიგში, ეს იყო რელიგიური ომები კათოლიკეებსა და პროტესტანტებს, ან სხვადასხვა პროტესტანტულ დენომინაციებს შორის. მეორე მხრივ, ეს იყო კონფლიქტი უნივერსალურ ეკლესიასა და საერო მონარქიულ ხელისუფლებას შორის. მოგვიანებით ამას ზედ დაერთო კლასობრივი კონფლიქტებიც: ერთმანეთს უპირისპირდებოდა მემკვიდრეობითი არისტოკრატია, კომერციული ინტერესები, ორგანიზებული მუშათა კლასი. მათი მოგვარების მცდელობებიდან თანდათან ამოიზარდა ის, რასაც დღეს ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტებს ვეძახით.

უფრო ზუსტად, ლიბერალური დემოკრატია ამოვიდა იმ ცნობიერებიდან, რომ შენს მოწინააღმდეგეს ბოლომდე ვერ გაანადგურებ, ვერ ჩარეცხავ (თუნდაც ის ამას იმსახურებდეს), ამიტომ, სამწუხაროდ, უნდა შეეგუო და რაღაც ზომით ანგარიშიც კი გაუწიო. დემოკრატია ნაკლები ბოროტების პრინციპის აღიარებაა: მე კი ვიცი, რომ მართალი ვარ და ჩემი მოწინააღმდეგე - მტყუანი, კოცონზე დაწვა შეიძლება ძალიანაც კი მოუხდებოდა, მაგრამ ვაითუ იმან დამასწროს და აქეთ დამწვას? ჯობია, რაღაც წესებზე მაინც შევუთანხმდე. დემოკრატია არ აუქმებს ერის დანაწევრებას და დანაწევრებული მხარეების მხრიდან ერთმანეთის არსიყვარულს. უბრალოდ, მოყვასთა ერთი ჯგუფი მშვიდად და წყნარად გეჯავრება, მაგრამ ცდილობ, ამის გამო ცხოვრება არ აირიო. დემოკრატია არის სამოქალაქო ომის გაგრძელება მშვიდობიანი და ხშირად მოსაწყენი მეთოდებით.

ჩვენ სიტყვა დემოკრატიას ხშირად კი გავიძახით, მაგრამ იდეალები საპირისპირო გვაქვს. სულ იმას ვჩივით, რომ ერი გაიხლიჩა , საზოგადოება ორად გაიყო და როგორმე უნდა გავმთლიანდეთ, ერთმანეთს ჩავეხუტოთ და მოვეფეროთ. მოდით, ვთქვათ: ეს არასოდეს მოხდება და არც არის საჭირო. მე, მაგალითად, მრავალი ადამიანის მიმართ სულ არ მიჩნდება ჩახუტების სურვილი და არ ვნერვიულობ, რომ არც მათ ვეხატები გულზე. მერე რა? ან ტიტები უნდა ვესროლოთ ერთმანეთს, ან კვერცხები და ტყვიები? ჯობია, მოყვასს ხანდახან ცივად და ზრდილობიანად ჩავუაროთ.

დემოკრატია ერთიანობას წესების დაცვაში და არა მაინცდამაინც შეხედულებებსა და ღირებულებებში მოითხოვს. რა თქმა უნდა, ემოციური, ექსტატური ერთიანობაც გვინდა ხოლმე - ეს ადამიანის ბუნების ნაწილია. მაგრამ ასეთი რამ განსაკუთრებულ, საგანგებო ვითარებებში ხდება. ამისთვის არსებობს, მაგალითად, დღესასწაულები - ისინი მთელ საზოგადოებას აერთიანებს. სიტყვა სასწაული ამ სიტყვაში შემთხვევით არ შედის - ეს ჩვეულებრივი ცხოვრებიდან გადახვევაა. ერთიანები უნდა ვიყოთ რუსეთის ტანკების შემოტევის წინაშე - სამწუხაროდ, ეს ჩვენს შემთხვევაში სულაც არ არის მხოლოდ ჰიპოთეტური სიტუაცია (თუმცა რეალისტები თუ ვართ, სრული ერთიანობა ამ შემთხვევაშიც არ გვექნება). დარწმუნებული ვარ, ერი სიხარულით გამთლიანდება, თუ საქართველო ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მაგრამ ამ სრულიად ფანტასტიკური სცენარის განხორციელების შემთხვევაშიც კი საყოველთაო ურთიერთჩახუტების პერიოდი ჰა და ჰა, სამი დღე გაგრძელდეს - მერე ერის დანაწევრების სადაგი დღეები დაგვიბრუნდება.

საიდან უნდა მოვიდეს პლურალიზმი?

როგორ უნდა მოვიდეს პლურალიზმის სული ქართულ საზოგადოებაში? როგორ უნდა ისწავლონ ქართველებმა ოქროს შუალედი ურთიერთჩახუტებასა და ქვების სროლას შორის?

ერთი რამე ზუსტად შეიძლება ითქვას: ეს არ მოხდება პლურალიზმის და ადამიანის უფლებების ზოგადი იდეის ქადაგებით. ამის სანდო საბუთია ჩვენი სამოქალაქო, ანუ ენჯიო-საზოგადოების საქმიანობა. დასავლური გამოცდილებით, სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაა პლურალიზმის უპირველესი ასპარეზი: აქ ეჯახებიან ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესების და ღირებულებების მატარებელი ჯგუფები, ოღონდ მშვიდობიანად და ცივილურად. ჩვენში ეს ცნება შემოვიდა, როგორც დასავლური დონორების მიერ დაფინანსებულ ენჯიოთა ერთობლიობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან (ლიბერალურ) ღირებულებებს და პრაქტიკებს ამკვიდრებდა. ამ წრემ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ცნებასთან ერთგვაროვნება აღმოჩნდა ასოცირებული და არა პლურალიზმი. ოღონდ ერთ აზრზე მდგომი სამოქალაქო საზოგადოება ამ სახელს, უბრალოდ, არ იმსახურებს. ჩვენთან კი დღესაც ისევ ჯიუტად იმეორებენ, რომ საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია .

მაშ ვინ უნდა გამოვიდეს პლურალიზმის ხელისშემწყობად - ხელისუფლება? მას ნამდვილად ევალება, შესაბამისი სამართლებრივი და რეალური პირობები უზრუნველყოს. მაგრამ ხელოვნურად პლურალიზმს ის ვერ შექმნის. მეტიც - პრაქტიკულმა პოლიტიკურმა მოტივაციამ შეიძლება საპირიპირო მიმართულებით წაიყვანოს. დღევანდელი ხელისუფლება ნაწილობრივ ენჯიო-საზოგადოებიდან ამოიზარდა და მისი სულისკვეთებაც გამოიყოლა. ის თავს განიხილავდა, როგორც მოწინავე ცნობიერების და ღირებულებების წარმომადგენელი, რომლის ამოცანებში შედის არა მხოლოდ სახელმწიფო მშენებლობა, არამედ, ენჯიოჟარგონზე რომ ვთქვათ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება , ანუ მისი მენტალიტეტის მიახლოება თანამედროვე ლიბერალურ ღირებულებებთან. ისტორიულად, ამაში ახალი არაფერია - იაკობინელებიდან მოყოლებული, სახელმწიფო ხშირად გამოსულა ლიბერალური მოდერნიზაციის მამოძრავებლად. ოღონდ, ის ძნელად უთავსდება დემოკრატიის იდეალს, რადგან ეს უკანასკნელი ძალაუფლების დანაწილებას ითხოვს, ლიბერალური მოდერნიზაციის პროგრამა კი - მის კონცენტრაციას. ამიტომ, სააკაშვილის ხელისუფლება ერთგვარად გაორებული იყო დემოკრატიასთან მიმართებაში - თან დემოკრატიის შუქურობაც უნდოდა და გარკვეულ ნაბიჯებს დგამდა ამ მიმართულებით, თან ძალაუფლების კონცენტრაციას ახდენდა და საზოგადოებისადმი პატერნალისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. ამან ქედმაღლობის და ავტორიტარობის იმიჯი შეუქმნა.

2007 წლის ნოემბერში ხელისუფლებას თაფლობის თვე დაუმთავრდა და ის ახალ ფაზაში შევიდა: ცდილობს, ლიბერალური მოდერნიზაციის პროგრამაც გააგრძელოს, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნებსაც მეტი ანგარიში გაუწიოს. საამისოდ ის ოპოზიციის აქტივობამ აიძულა: როგორც კი მთავრობამ ხალხით სავსე რუსთაველის პროსპექტი დაინახა, დათმობებზე წასვლის ნება გამოთქვა, თუმცა რაღაც წითელი ხაზებიც დაიტოვა. ლოგიკურად, ამას უფრო პლურალისტური სისტემის შექმნის წინაპირობა უნდა შეექმნა: ოპოზიცია არის უპირველესი აგენტი, რომლის სისხლხორცეულ ინტერესებში უნდა იყოს პლურალიზმის დამკვიდრება.

საუბედუროდ, ეს არ მომხდარა. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ პლურალიზმის იდეა ოპოზიციისთვის კიდევ უფრო უცხო გამოდგა, ვიდრე ხელისუფლებისთვის. ამ უკანასკნელს შეიძლება დაბრალო, რომ ის უხალისოდ ეკიდება პლურალიზმის პრინციპს, არასაკმარისად თანმიმდევრულია მის დაცვაში და ა. შ. მაგრამ ის სულ მცირე, აღიარებს, რომ საზოგადოება გაყოფილია მისსა და ოპოზიციის მომხრეებად, რომ ამ უკანასკნელებს აქვთ უფლებები, და რომ პლურალიზმს საქართველოში უკეთესი მენეჯმენტი სჭირდება - მაგალითად, კონსტიტუციის თუ საარჩევნო კოდექსის გადახალისება.

ამის საპირისპიროდ, ოპოზიცია უარყოფს საზოგადოების გაყოფილობის თვით ფაქტს: ის ჯიუტად იმეორებს, რომ დღეს საზოგადოებაში დაპირისპირება არ არსებობს, რომ საზოგადოება ან ხალხი როგორც რაღაც ერთიანი, უპირისპირდება უზურპატორთა მცირე, რა თქმა უნდა, კრიმინალურ , ჯგუფს. მისი თავიდან მოცილება ერის გამთლიანების ექსტაზში დაგვაბრუნებს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ოპოზიციას აკრიტიკებს, მყისვე ხელისუფლების აგენტად ან მეძავად ცხადდება, რითაც საზოგადოების სიიდან ამოირიცხება. თუ ოპოზიციის ზოგიერთი მომხრე უხალისოდ მაინც აღიარებს საზოგადოებაში არსებულ პოლარიზაციას, ის ამ ფაქტის არსებობას ხელისუფლების დანაშაულად აცხადებს.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ოპოზიციას აქვს ერთგვარი ალიბი: ის ამბობს, რომ შინაგანად პლურალისტურია, რაკი მრავალი სხვადასხვა პარტიისგან შედგება და ერთიანი ლიდერი არ ჰყავს. ესე იგი, ოპოზიციაშიც არის ხალხი, ვისაც თეორიულად მაინც ესმის, რომ პლურალიზმის მთლად უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ დიდი შვება ამას არ მოაქვს - დღეს წყალგამყოფი სწორედ ხელისუფლების და ოპოზიციის მომხრეთა შორის გადის, პლურალიზმის ამ რეალურ და აქტუალურ გამოვლინებასთან შეგუება კი ოპოზიციას არ სურს.

როგორც რეგულარად გვესმის ოპოზიციის ლიდერებისგან მიტინგებზე თუ თოქ-შოუებში, ხელისუფლება (თავისი აგენტებით და მეძავებით) პოლიტიკური ოპონენტი კი არა, მოსისხლე მტერია ; არსებული დაპირისპირება პოლიტიკური კი არა, მორალურია - ეს არის დაპირისპირება სიკეთესა და ბოროტებას შორის. ეს არის არა დემოკრატიული პლურალიზმის, არამედ სამოქალაქო ომის ენა. ამ ენით მოლაპარაკეთა გამარჯვებას სადამდე მივყავართ, 1992 წელს უკვე შევამოწმეთ.

ესე იგი, მაინც რა?

თუ პლურალიზმის დემოკრატიული მენეჯმენტი ვერ მოხერხდა, რჩება ორი გზა: ან სამოქალაქო ომი, ან ღია ავტორიტარიზმი. შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთ ადამიანს, ბოლო მოვლენების ფონზე, ვამჩნევ პესიმიზმს საქართველოში სრულფასოვანი დემოკრატიის თვით შესაძლებლობის მიმართ. განათლებული დიქტატურა სამოქალაქო ომს (ან მის ზღვარზე მუდმივ დგომას) ნამდვილად ჯობია, ამიტომ ხშირად ისმის: იქნებ ჯერ მოდერნიზაციული ავტორიტარიზმის ეტაპი უნდა გამოვიაროთ და დემოკრატიაზე მერე ვიფიქროთ? ხომ ვხედავთ, რომ მაინც არ გამოგვდის.

ჩვენ ამ მხრივ ორიგინალური არა ვართ - ამ თემაზე კამათი მრავალ ქვეყანაში მიდის. მაგრამ საქართველოში ამ იდეის განხორციელებას ერთი წინაპირობა აქვს - საამისოდ, ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს პრო-რუსულით. არსებულ ხელისუფლებას მანამდე ექნება დასავლეთის მხარდაჭერა, სანამ მეტ-ნაკლებად დემოკრატიული იქნება, ხოლო თუ ამ მხარდაჭერას დაკარგავს, რუსეთის ზეწოლას ვეღარ გაუძლებს.

თუ ეს სცენარი არ განხორციელდა - რისი დიდი იმედიც მაქვს - მაშინ ერთი გზა დაგვრჩა: როგორმე შევეგუოთ იმ აზრს, რომ ერის გახლეჩა ნორმალური მდგომარეობაა, რომ მას ვერ დავძლევთ, მაგრამ რაღაცნაირად უნდა მოვუაროთ. ამის წინაპირობა მარტივია: უნდა მიიღო რეალობა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ გაიმარჯვებს. თუ ეს დაიჯერე, დანარჩენი ტექნიკის საქმეა.

IFC-ი ქართველ მეწარმეებს HACCP-ის დანერგვაში დაეხმარება

სალომე ძაძამია

მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ი ქართულ კომპანიებს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვაში ეხმარება. ამ მიზნით IFC-მ სურსათის უვნებლობის საკითხებში ტრენინგების კურსის ჩატარება დაიწყო.

ტრენინგების მეშვეობით სურსათის მწარმოებელი კომპანიების თანამშრომლები გაეცნობიან სურსათის უვნებლობის პრინციპებს, აიმაღლებენ ცოდნას სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე ინსტრუმენტების შესახებ, რაც მოიცავს წარმოების სწორი პრაქტიკის მოთხოვნებს, წინასწარ აუცილებელ პროგრამებს და საფრთხის ანალიზსა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემას (HACCP). ასევე მიიღებენ ინფორმაციას სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის - ISO 22000:2005-ის შესახებ.

ტრენინგები კომპანიებს საშუალებას მისცემს: დანერგონ სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემები; მოემზადონ ინსპექტირებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" კანონით და 2010 წლიდან ამოქმედდება; გაზარდონ საწარმოების კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე და თავიანთი პროდუქცია ევროპის ბაზარზე გაიტანონ.

კურსი თავისი შინაარსით ინტერაქტიული და პრაქტიკულია, მოიცავს ლექციებს, პრეზენტაციებს, კონკრეტული მაგალითების განხილვას, ჯგუფურ სამუშაოებს. კურსი გათვლილია სურსათის მწარმოებელი კომპანიების დირექტორებისთვის, ზედა და საშუალო რგოლების მენეჯერებისათვის, ტექნოლოგებისთვის და სხვა თანამშრომლებისათვის, რომელთაც სურსათის უვნებლობასთან ან ხარისხთან უშუალო კავშირი აქვთ.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში აცხადებენ, რომ ქართული კომპანიებისთვის სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საერთაშორისო სტანდარტით აღჭურვილ მწარმოებელ კომპანიას საექსპორტო ბაზრის პოვნის მეტი შანსი აქვს. IFC-ის ინიციატივით ჩატარებული ტრენინგი ერთ-ერთი ის მექანიზმია, რითაც ქართულ კომპანიებს საშუალება ეძლევა, მეტი ინფორმაცია მიიღონ სურსათის უვნებლობის მნიშვნელობაზე და საკუთარ საწარმოებში პროცესები საერთაშორისო სტანდარტებზე ააგონ.

"აღნიშნული ტრენინგი ჩვენი ინიციატივით ტარდება. IFC-ის სურვილი აქვს, დაეხმაროს ქართველ მეწარმეებს, რომ მათი პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდეს. სურსათის უვნებლობის ეს თანამედროვე პრინციპები განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს და, აქედან გამომდინარე, სასურველია საქართველოშიც მოქმედებდეს. ჩვენი მეორე მოტივაცია ის არის, რომ საქართველოში არსებობს კანონი სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ, რომელიც 2010 წლიდან შევა ძალაში და რომლის მიხედვითაც HACCP-ის დანერგვა საქართველოში სავალდებულო უნდა გახდეს. ჩვენ გადავწყვიტეთ, სურსათის მწარმოებელ კომპანიებს ამ საქმის განხორციელებაში დავხმარებოდით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. HACCP-ის დანერგვა გაუმჯობესებს ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და ამავე დროს, საწარმოებს საშუალება ექნებათ, საკუთარი პროდუქცია ევროპის ბაზარზე საექსპორტოდ გაიტანონ.

სურსათის უვნებლობა ბევრ კომპონენტს მოიცავს. მათ შორის: წარმოების კარგ პრაქტიკას, რისკის ანალიზს და კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს, რომელიც ეხება ჰიგიენას, პერსონალის სანიტარულ ნორმებს, პროცესების ნაკადურობას, ტემპერატურების დაცვას და ა.შ. წლის განმავლობაში 240 კომპანია უნდა დავატრენინგოთ. გარდა ამისა, ვახორციელებთ საწარმოების შეფასებას და ვაძლევთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გამოასწორონ იმისათვის, რომ კომპანიაში HACCP-ის დანერგვა მოხდეს. ასევე, პრემიერ-მინისტრის აპარატის თხოვნით, ჩვენ ვატარებთ სურსათის მწარმოებელი კომპანიების კვლევას, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაში არიან დღეს და რა აქვთ გასაკეთებელი სამომავლოდ, რათა საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდნენ. ასევე რას აწარმოებენ, რა რაოდენობის პროდუქცია გააქვთ ექსპორტზე და ა.შ." - აცხადებს IFC-ის სამეწარმეო გარემოს ხელშეწყობის პროექტის ანალიტიკოსი ეკატერინე ავალიანი.

საქართველოს ბიზნესის ხელშეწყობის და განვითარების ცენტრის დირექტორი თამარ ლაბარტყავა: "საქართველოში HACCP-ის დანერგვა 2005 წლიდან დაიწყო. ჩვენ ახლა იმ კომპანიებთანაც ვმუშაობთ, რომლებსაც უკვე დანერგილი აქვთ აღნიშნული სისტემა, თუმცა გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს. ზოგადად, ყველა საწარმოში ინდივიდუალური პრობლემაა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონის კომპანიაა, როგორი მართვის სისტემები აქვს. HACCP-ის დანერგვა, ბუნებრივია, დაკავშირებულია ფინანსებთან. იგულისხმება ინფრასტრუქტურული ხარჯები, პერსონალის მომზადება და ა.შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ინვესტიციებს მოითხოვს და ხშირად ეს არის იმის მიზეზი, რომ კომპანიები აღნიშნული სტანდარტების დანერგვისაგან თავს იკავებენ. IFC-სთან ვთანამშრომლობთ კომპანიების შეფასების საკითხში. ჩვენი მიზანია მივაწოდოთ საწარმოებს ინფორმაცია, თუ რა მოეთხოვებათ იმისათვის, რომ საერთაშორისო სტანდარტები დანერგონ."

საგზაო მაგისტრალის მშენებლობისთვის მსოფლიო ბანკი თანხას გამოყოფს

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საგზაო მაგისტრალის მშენებლობის დაფინანსების მიზნით, შესაძლოა, მსოფლიო ბანკმა დამატებითი თანხები გამოყოს. ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში მიმდინარე მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.

მისი განმარტებით, საუბარია მსოფლიო ბანკის მიერ გზების მშენებლობის დაფინანსებისთვის ტრანშის სახით 160 მილიონი დოლარის გამოყოფაზე.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის ხელმძღვანელის განმარტებით, დღეს სოფელ შავშების მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით 3-კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა.

"გზების მშენებლობის სამუშაოები მაღალი ინტენსივობით მიმდინარეობს და როგორც საზოგადოებას დავპირდით, ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში ჩვენ ორმხრივი ტრასით ჩავალთ გორამდე," - განაცხადა პრემიერმა. მისივე განმარტებით, მშენებლობები ასეთივე ინტენსივობით გაგრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

სახელმწიფო იაფი კრედიტის აღებას აპირებს

გომბორის გზით მშენებლობა, შესაძლოა, ნაწილობრივ მსოფლიო ბანკმა დააფინანსოს. როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, აღნიშნული გზის მშენებლობისთვის სახელმწიფო მსოფლიო ბანკისგან 50 მილიონი დოლარის იაფი კრედიტის აღებას აპირებს.

"ჩვენ გომბორის გზის მშენებლობა საკუთარი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დავიწყეთ, თუმცა ეს თანხები საკმარისი არ არის, რისთვისაც დამატებით სახსრებს მსოფლიო ბანკი გამოყოფს," - განაცხადა გილაურმა.

აღსანიშნავია, რომ შეღავათიან კრედიტს მსოფლიო ბანკი იმ 4,5 მილიარდი დოლარის ფარგლებში გამოყოფს, რომელსაც საქართველოს ბრიუსელში, დონორთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის ფარგლებში დაჰპირდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა

2009 წლის 22 ივნისის ვაჭრობის შედეგებით მსოფლიოს წამყვან სანავთობო ბირჟებზე ნავთობის ფასი შემცირდა. კერძოდ, ლონდონში InterContinental Exchange Futures-ze - IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 66,98 (-2,21) დოლარი ბარელზე;

ნიუ-იორკში New York Mercantile Exchange-ზე - Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 66,93 (-2,62) დოლარი ბარელზე.

აქცია კომპანია "ჯეონეთისგან"

3 თვე უფასო ჰოსტინგი

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, როდესაც ინტერნეტი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ადამიანების ცხოვრებაში, ბიზნესისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ხდება საკუთარი ადგილის დაკავება ინტერნეტში. სწორედ ამიტომ იქმნება სხვადასხვა დანიშნულების, ტიპისა და მოცულობის საიტები, რომელთა ვებსივრცეში განთავსებისათვის აუცილებელია ჰოსტინგი.

საკომუნიკაციო კომპანია "ჯეონეთი" 10 წელზე მეტია, მომხმარებელს საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისების ფართო სპექტრით უზრუნველყოფს. ის ყოველთვის მისდევს მსოფლიო ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და ქართველ მომხმარებელს სთავაზობს უახლეს პროდუქტებსა და სერვისებს. მომხმარებლისათვის ის მუდამ საიმედო და ძლიერი პარტნიორია.

"ჯეონეთმა" ბაზარზე გაიტანა განახლებული ჰოსტინგმომსახურება MyHost.ge ბრენდის ქვეშ. მისი ვებჰოსტინგი დაფუძნებულია უახლეს სერვერსა და მსოფლიოში წამყვან სამართავ სისტემა cPanel-ზე, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შექმნას, დააკონფიგურიროს და მართოს მონაცემთა ბაზები, ფაილები, ftp ანგარიშები და ელ-ფოსტები თავისი სურვილისამებრ, ჰოსტინგპროვაიდერი კომპანიის ჩარევის გარეშე.

MyHost.ge-მ მომხმარებელს შესთავაზა სიახლე, როდესაც შექმნა ქართული ჰოსტინგბაზრისათვის სრულიად ახალი პროდუქტი E-mail ჰოსტინგი, რომელიც გულისხმობს კომპანიისათვის ან ფიზიკური პირისათვის სასურველი დასახელებისა და დაბოლოების ელ-ფოსტების name@companyname.ge ფლობის საშუალებას, ვებგვერდის შექმნის გარეშეც. ამგვარი სახის ჰოსტინგი მოსახერხებელია მათთვის, ვისაც ჯერ არ აქვს საკუთარი ვებგვერდი, სარგებლობენ უფასო ელ-ფოსტებით და სურთ თავიანთ კომპანიას გაუკეთონ რეკლამა თითოეული გაგზავნილი ელ-ფოსტითაც კი.

გარდა იმისა, რომ კომპანია "ჯეონეთი" ჰოსტინგის მომხმარებელს უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი მომსახურებით, თანამედროვე ტექნიკით, უახლესი სერვერით, მუდმივად განახლებადი პროგრამებით, სპამებისა და ანტივირუსებისგან დაცვით, იგი ყოველთვის ზრუნავს კლიენტებზე და მათთვის პერიოდულად აწესებს სხვადასხვა სახის აქციებს, ფასდაკლებებსა და წახალისებებს.

ერთ-ერთი ასეთი აქციაა: 3 თვე უფასო ჰოსტინგი. ვინც შეიძენს თორმეტთვიან ჰოსტინგ პაკეტს, გადაიხდის მხოლოდ 9 თვის საფასურს და პირველი სამი თვე ისარგებლებს უფასო მომსახურებით. ამგვარი სახის შეღავათი მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, დაზოგონ თავიანთი ფინანსები და დაზოგონ 25%-ით ნაკლები თანხა ბიუჯეტიდან.

MyHost.ge-ს გუნდი ყოველთვის მზად არის, გაუწიოს თავის კლიენტებს დროული, სრულყოფილი და მაღალკვალიფიციური კონსულტაციები, რადგან კლიენტის კმაყოფილება მისთვის უმთავრესია.

3 თვე უფასო ჰოსტინგი

შეუერთდი აქციას!

გახადე შენი ბიზნესი მომგებიანი!

შპს „ჯეონეთი“
ტელ: (+995 32) 470000; ელ-ფოსტა: info@myhost.ge
www.myhost.ge

დაკავება ყალბი დოკუმენტაციის დამზადების ფაქტზე

სამართალდამცველებმა ყალბი დოკუმენტაციის დამზადების ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს.

ქვემო ქართლის შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ზაზა ჩიტიაშვილი, ზურაბ ბჟალავა და ბაირამ ისმიხან-ოღლი ახმედოვი დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ისინი სპეციალური ტექნიკის საშუალებით სისტემატურად ამზადებდნენ პირადობის დამადასტურებელ სხვადასხვა ტიპის ყალბ საბუთებს, მათ შორის მართვის მოწმობებს და სანაცვლოდ სოლიდურ თანხას იღებდნენ.

სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებული პირები ყალბ დოკუმენტაციას ამზადებდნენ ძირითადად ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოქალაქეებისთვის. ამოღებულია სპეციალური ტექნიკაც. მიმდინარეობს გამოძიება.

ჯი-ეიჩ-ენი

ქიბარ ხალვაშის ქონების საქმე სტრასბურგის სასამართლოში

სტრასბურგის სასამართლომ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ქონების საქმე წარმოებაში მიიღო.

"ჩვენ სტრასბურგის სასამართლოში დანართის სახით კიდევ 1000-მდე დოკუმენტი გავგზავნეთ. გუშინ ევროსასამართლომ ქიბარ ხალვაშის ქონების საკითხის განხილვა დაიწყო და იმედი გვაქვს, რომ ამ ეტაპზეც გავიმარჯვებთ," - აცხადებს ადვოკატი დიმიტრი გაბუნია. მისივე განმარტებით, ევროსასამართლოში საქმის განხილვის შემდგომი ეტაპი ზეპირი მოსმენა იქნება, რომელიც სავარაუდოდ, 15 ივლისისთვის გაიმართება. "საქმის ზეპირი მოსმენა ევროსასამართლოში, სავარაუდოდ, 15 ივლისს გაიმართება და ჩვენ პროცესზე დასასწრებად აუცილებლად ჩავალთ,"- აცხადებს ადვოკატი. შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ქონებაზე შ.პ.ს "არტზე", "პრიზაზე" და "ინთერნეიშენლ ბილდინგ კომფანიზე" დანიშნული აუქციონები განაცხადის არარსებობის გამო ექვსჯერ ჩაიშალა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 1 აპრილის ბრძანებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას ნება დართო, შპს "პრიზას", "არტის" და "ინტერნეიშენლ ბილდინგ ქომფანიის" აუქციონი ჩაეტარებინა.

პირველი

400-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა

მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივნის ეკა ბესელიას ძმას პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის სასამართლომ 400-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა. მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" პრესამსახურის ინფორმაციით, ბესო ბესელია პარტიის წევრებთან ალექსი და ილია ჭკუასელებთან ერთად დააკავეს. პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულები სამ საათში ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. "ინციდენტი მოხდა ღამით, როდესაც ბესო ბესელია, ზურაბ მაჭავარიანი, ილია ჭკუასელი, ალექსი ჭკუასელი და მისი ფეხმძიმე მეუღლე ნინი წერეთელი სამარშრუტო ტაქსით სახლისკენ მიემართებოდნენ. საპატრულო პოლიციამ სამარშრუტო ტაქსი გააჩერა, მანქანიდან ხუთივე მგზავრი გადმოიყვანა, მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სრულიად უსაფუძვლოდ სამი მათგანი დააკავა: ბესო ბესელია, ილია ჭკუასელი და ალექსანდრე ჭკუასელი. მათი გათავისუფლება მხოლოდ 3 საათის შემდეგ ხელწერილის საფუძველზე მოხდა, რომლის მიხედვით ისინი დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყვნენ," - აცხადებს "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" პრესმდივანი, ირინა ძაბაური.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლები აღნიშნულ ფაქტს პოლიტიკური ზეწოლისა და რეპრესიების გაგრძელებად აფასებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

შვილი ციცინო გურგენიძე, სიძე სერგო მელაძე, შვილიშვილები გიორგი და მიხეილ მელაძეები, რძლები მაკა ლაჩაშვილი და ეკა ოკუჯავა, დისშვილები თამარ და ბეჟან თოდრაძეები, შვილთაშვილები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუშანა გაბრიელის ასული ღლონტი - გურგენიძე

პანაშვიდები: 23; 24 ივნისს 5 საათზე
გამოსვენება: 25 ივნისს 2 საათზე
მისამართი: გაზაფხულის ქ. N7

თავდასხმა ნორვეგიელ ჟურნალისტზე

ნუცა ვარდოსანიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ნორვეგიელ ჟურნალისტ რაგნარ სკრეს, რამდენიმე დღის წინ, თბილისში, საცხოვრებელ ბინაში ნიღბიანი პირები თავს დაეხსნენ.

თავდამსხმელებს ჟურნალისტისთვის არანაირი ულტიმატუმი არ წაუყენებიათ, არც ფული და ნივთები მოუთხოვიათ. უცნობებმა ბინიდან მხოლოდ ჩანთა წაიღეს, რომელშიც ფოტო-აპარატი, დიქტოფონი და საფულე ედო. იგი საფულეში მხოლოდ წვრილ ფულს ინახავდა, დაახლოებით 60 ლარის ოდენობით, - აცხადებს ადამიანის უფლებათა ცენტრი.

რაგნარ სკრეს ნიღბიანი პირები თავს დაეხსნენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის" განცხადებით, ორგანიზაციაში დახმარების სათხოვნელად მათთან მისული რაგნარ სკრე, მაგიდასთან წელში ოდნავ მოხრილი იჯდა და ხმადაბლა ყვებოდა მომხდარის შესახებ. იმდენად ხმადაბლა, რომ მსმენელს შთაბეჭდილება შეექმნებოდა, ჟურნალისტი თავადაც არ იყო დარწმუნებული, მასზე თავდასხმის ფაქტი უნდა გაეხმაურებინა თუ არა. მისი ასეთი გაუბედაობის მიზეზი შიშია. სკრეს ეშინია, რომ თავდასხმა მასზე შეიძლება კვლავ განმეორდეს. რადგანაც, როგორც თავად აცხადებს, 6 თვის წინ მას თავს უკვე დაესხნენ და ვიდეოკამერა წაართვეს.

საღამოს 10 საათისთვის კარზე დააკაკუნეს. ჩემთან ხშირად შემოდიან მეზობლები და კარი ინსტინქტურად გავაღე. ჩემ წინ 5 ნიღბიანი იდგა. ერთმა იარაღი სახეზე დამადო და ბინაში შემოსვლა სცადა. კარის დაკეტვას ვცდილობდი, დამაგვიანდა, ისინი უკვე ბინის შესასვლელში იყვნენ, შემდეგ იარაღს დავებღაუჭე და ჩემსა და თავდამსხმელს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მათ ხელი მკრეს, იატაკზე დამაგდეს, იარაღი ძირს დავარდა, მაშინ დავინახე, რომ მეორე თავდამსხმელიც მიმიზნებდა იარაღს," - იხსენებს ნორვეგიელი ჟურნალისტი, რომლის განცხადებით, ორთაბრძოლის დროს ყვირილს შეეცადა, რათა მეზობლებისთვის ხმა მიეწვდინა, მაგრამ თავდამსხმელმა, რომელსაც ნიღაბი და შავი ხელთათმანი ეკეთა, მას პირზე ხელი ააფარა, თავდამსხმელები თავს იატაკზე არტყმევინებდნენ, მაგრამ ჟურნალისტს არაფერს ეუბნებოდნენ. რაგნარ სკრეს თქმით, თავდამსხმელები ერთმანეთში მისთვის გაურკვეველ ენაზე საუბრობდნენ. ჟურნალისტის აზრით, სავარაუდოდ, რუსულად ლაპარაკობდნენ.

მომხდარს თვითმხილველი არ ჰყავს, რაგნარ სკრეს მეზობელმა თავდასხმის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც ფეხშიშველმა, აღელვებულმა ჟურნალისტმა მის კარებზე დააკაკუნა და შველა ითხოვა.

არაფერი დამინახავს. რაგნერმა დამიკაკუნა, აღელვებული იყო და მითხრა, რომ თავს დაესხნენ, სახეზე სიწითლე ეტყობოდა, ტუჩის კუთხე ოდნავ გახეთქილი ჰქონდა. შემდეგ პოლიციას გამოვუძახეთ," - განუცხადა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელს ჟურნალისტის მეზობელმა მაია არსენიშვილმა.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დაზარალებულიც დაიკითხა. ნორვეგიელი ჟურნალისტის აზრით, თავდასხმის მიზანი დაყაჩაღება არ უნდა ყოფილიყო. სკრეს ვარაუდით, მომხდარი მის ჟურნალისტურ მოღვაწეობას უნდა უკავშირდებოდეს. მისი თქმით, საქართველოში ბიოლოგიური იარაღის წარმოებას გეგმავენ, რასთან დაკავშირებითაც იგი მასალებს იძიებს, თუმცა ამ ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები ჯერ არ მოუპოვებია. "საქართველოში ამ იარაღის წარმოება რომც არ მოხდეს, ფაქტის გახმაურება, რომ ქვეყანაში ბიოლოგიური ბაქტერიების მარაგი არსებობს, ხელისუფლებას არ აწყობს", - ამბობს სკრე. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, რაგნარ სკრემ ჟურნალისტური მოღვაწეობა 1994 წელს დაიწყო. საქართველოში კი უკვე 16 თვეა ცხოვრობს და ნორვეგიული გაზეთებისთვის ჟურნალისტურ გამოკვლევებს ატარებს. ჟურნალისტის განცხადებით, თავდამსხმელებმა წაიღეს მის მიერ მომზადებული ექსკლუზიური მასალები, რომელთა დაბეჭდვასაც იგი აპირებდა.

დეპუტატების ვიზიტი წინასწარი დაკავების იზოლატორში

15 ივნისს, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, თითქმის ყოვედღიურად, ამავე შენობასთან საპროტესტო აქციები იმართება. ამ ხნის განმავლობაში, აქციის მონაწილეები დაკავებული აქტივისტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და მათ საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვენ. მორიგი აქცია პოლიციის სამმართველოს შენობასთან გუშინაც გაიმართა. სხვადასხვა ორგანიზაციის წევრები სამმართველოს შენობასთან ერთობლივი მსვლელობით მივიდნენ და საკუთარი მოთხოვნები კიდევ ერთხელ წამოაყენეს.

დაუყოვნებლივ მოხდეს 15 ივნისს მომხდარი ფაქტის გამოძიება და დამნაშავეები დაისაჯონ; სასწრაფოდ ცნონ დაზარალებულებად დაკავებული ახალგაზრდები, გამოქვეყნდეს სამმართველოსთან განთავსებული ვიდეოკამერებით ჩაწერილი მასალები, რათა უფრო ნათელი გახდეს, თუ რა მოხდა 15 ივნისს, - ასეთი იყო აქციის მონაწილეების მოთხოვნა.

მანამდე კი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში დეპუტატები ჯონდი ბაღათურია და რუსუდან კერვალიშვილი იმყოფებოდნენ.

"ჩვენი მიზანია, თითოეული პატიმარი პირადად ვნახოთ და გავარკვიოთ, ხომ არ შეილახა მათი უფლებები როგორც სამართლებრივად, ისე ჯანდაცვის კუთხით," - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ შენობაში შესვლამდე. წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გამოსულმა კი ჯანდაცვის მინისტრს 15 ივნისს დაკავებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის პირად კონტროლზე აყვანის მოთხოვნით მიმართა.

"წინასწარი დაკავების იზოლატორში ცხრამეტივე დაკავებული ახალგაზრდა მოვინახულე. ისინი მხნედ არიან და ბრძოლის გასაგრძელებლად ემზადებიან. მეოცე დაკავებული კი უკვე გადაყვანილია გლდანის ციხეში და მასაც უახლოეს დღეებში მოვინახულებ," - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ. მისივე განმარტებით, 8 პატიმარმა შეხვედრის დროს განაცხადა, რომ დაკავებისას მათ სხეულის დაზიანებები მიაყენეს.

დაპატიმრებული ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა რამდენიმე მათგანს ფიზიკური ზემოქმედების კვალი აღენიშნება. დაზიანებები 19-დან რვა პატიმარს აღენიშნება. ამჟამად ისინი შესახედავად კარგად გამოიყურებიან, მაგრამ იმისთვის, რომ არ გამოგვეპაროს ისეთი დაავადებები, რომლებიც გარეგნულად არ ჩანს, მაგალითად, ტვინის შერყევა და ა.შ, აუცილებელია, მათ ჩაუტარდეთ დამატებით სპეციალური გამოკვლევა," - განაცხადა დაკავებულების მონახულების შემდეგ რუსუდან კერვალიშვილმა.

15 ივნისს დაკავებული აქტივისტები გუშინ წინასწარი დაკავების იზოლატორში ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წევრებმა ეკა ხერხეულიძემ და დიმიტრი ლორთქიფანიძემაც მოინახულეს.

დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ დაკავებულები ვადაზე ადრე გაათავისუფლონ. დეპუტატის განმარტებით, შესაბამის ინიციატივას ის პარლამენტში დაგეგმილ დღევანდელ სხდომაზე გაიტანს.

დაკავებულების წიინააღმდეგ რაიმე კანონდარღვევას ადგილი არ აქვს, ამდენად, სახალხო დამცველის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება. სოზარ სუბარის ინფორმაციით, დაკავებულების წინააღმდეგ ფიზიკურ და მორალურ ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი და მათ მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება. მინდა გითხრათ, რომ მსგავსი არაფერი ხდება და დაპატიმრებულები ადმინისტრაციის მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ," - ასეთი ინფორმაცია გამოიტანა წინასწარი დაკავების იზოლატორიდან საკანონმდებლო ორგანოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ეკა ხერხეულიძემ.

საკუთარი ინფორმაცია

მიმართვა მთავარ პროკურორს

ელენე მათითაშვილი

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას 6 მაისს დაზარალებული დავით ჩანელიძის საქმის შესწავლის რეკომენდაციით მიმართა.

სახალხო დამცველი ირწმუნება, რომ 6 მაისს თბილისის თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ იარაღი გამოიყენეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის დაშვებული, კერძოდ კი, პლასტიკისა და რეზინის ტყვიები.

საქმე ისაა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს 6 მაისს თბილისის შს სამმართველოს წინ გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილე დავით ჩანელიძეს, რომელსაც მომიტინგეებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების შედეგად ცალი თვალი ამოკვეთეს.

ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, დავით ჩანელიძე სტაციონარში 6 მაისიდან 10 მაისამდე ზედა ქუთუთოს ჭრილობითა და თვალის კაკლის გასკდომის დიაგნოზით იმყოფებოდა. მას თვალი ამოკვეთეს. ქუთუთოს ჭრილობის სიღრმიდან უცხო სხეული ამოიღეს, რომლის აღწერილობა პლასტიკური ტყვიის შემადგენლობას სრულად შეესაბამება," - განმარტავენ სახალხო დამცველის აპარატში.

ომბუდსმენის აპარატის წევრების განმარტებით, კანონმდებლობა პოლიციის მიერ რეზინის და პლასტიკური ტყვიის გამოყენების უფლებამოსილებას არ ითვალისწინებს და შესაბამისად, აკრძალული საშუალების გამოყენებით შინაგან საქმეთა ორგანოებმა სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტეს.

"არა მხოლოდ რიგითი სპეცრაზმელების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას, არამედ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ის მაღალი თანამდებობის პირი უნდა მიეცეს, ვინც საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ რეზინისა და პლასტიკური ტყვიები შეიძინა და ბრძანება გასცა მათი გამოყენების შესახებ, - განმარტავს სახალხო დამცველი. სოზარ სუბარმა მის ხელთ არსებული ახსნა-განმარტებები და სამედიცინო დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურორს მამუკა გვარამიას უკვე გაუგზავნა.

ევკუროვის საქმის ძიება დაიწყო

ივა შილაკაძე

AFP ' 2009

მედვედევმა ევკუროვი საავადმყოფოში მოინახულა

ინგუშეთის პრეზიდენტ იუნუსბეკ ევკუროვზე თავდასხმის დეტალები ნელ-ნელა ირკვევა, თუმცა ჯერჯერობით სერიოზული სიახლე, ცხადია არ არის. მოსკოვში, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში გადაყვანილი ინგუშეთის პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მოინახულა. მან ექიმებს დეტალურად გამოკითხა დაჭრილის მდგომარეობა და მისი დროულად გამოჯანმრთელება სთხოვა. ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმირ ფიოდოროვმა განაცხადა, რომ ევკუროვის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. დაზიანებული აქვს მკერდი, თავის ქალა და თირკმელი. ავადმყოფი კვლავ უგონოდ იმყოფება, თუმცა ექიმებს ის აიმედებთ, რომ იგი ცოტა ხნით ნაწილობრივ მოვიდა გონს. ფიოდოროვმა ისიც განაცხადა, რომ ინგუშმა ექიმებმა ყველაფერი სწორად გააკეთეს, მაქსიმალური დახმარების გაწევა შეძლეს და მათ მიმართ არავითარი პრეტენზია არ არსებობს. ქირურგიის ინსტიტუტი კარგად აღჭურვილი კლინიკაა, ევკუროვს უკვე გაუკეთდა ყველანაირი გამოკვლევა, სრული კომპიუტერული ტომოგრაფია და ყველა დაზიანების ხასიათი დადგინდა. მის ფეხზე დასაყენებლად ოცი წამყვანი პროფესორისგან შემდგარი კონსილიუმი მუშაობს და უახლოეს სამ-ოთხ დღეში გაირკვევა, თუ როგორ უმკლავდება ორგანიზმი ჭრილობებს.

ექიმებისგან განსხვავებით, პრეტენზიები ინგუშეთის პრეზიდენტის დაცვის სამსახურის მისამართით გამოითქვა. რუსეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც საკუთარი გვარის პრესაში გამოქვეყნებისგან თავი შეიკავა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ევკუროვის დაცვამ შეცდომა დაუშვა, როცა უცხო მანქანას დაცვის ობიექტთან მიახლოების საშუალება მისცა. როგორც ირკვევა, ტოიოტა კამრი , რომელსაც ტერორისტი-თვითმკვლელი მართავდა, პრეზიდენტის კორტეჟის პარალელურად მოძრაობდა, მას გაუსწრო წინ მიმავალმა საგზაო პოლიციის მანქანამაც და კორტეჟში მდგარმა დაცვის მანქანამაც. ტერორისტმა კი ღილაკს მაშინ დააჭირა ხელი, როცა მის ავტომობილს ევკუროვის მერსედესი გაუსწორდა. წესით, პირველ მანქანას მისთვის ნიშანი უნდა მიეცა, დაცვის მანქანას კი საეჭვო ავტომობილი ტარანით გადაეგდო გზისპირისკენ. შეიძლება, დაცვა მანქანის კლასმა და მოსკოვის ნომრებმა დააბნია. როგორც წესი, ასეთი მიზნებისთვის ტერორისტები აქამდე უფრო იაფიან ჟიგულებს იყენებდნენ. ითქვა ისიც, რომ პრეზიდენტის კორტეჟი არასაკმარისად სწრაფად მოძრაობდა. სპეცსამსახურების ზემოხსენებულმა წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ დღეს, სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრი ხელმძღვანელი უარს ამბობს დაცვის ფედერალური სამსახურის მაღალი კლასის პროფესიონალებზე და ერთგული ხალხისგან საკუთარ დაცვის სამსახურს ქმნის. ისინი გადიან გარკვეულ მომზადებას, მაგრამ რიგ კრიტიკულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფენ "ვიპ-პერსონის" უსაფრთხოების დაცვას. ტერორისტული აქტი, თავის მხრივ, კარგად იყო მომზადებული და მასში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. აშკარაა, რომ დამნაშავეებმა შესანიშნავად იცოდნენ ევკუროვის დაცვის სქემა, ავტომობილების განლაგება კორტეჟში, აგრეთვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რესპუბლიკის მეთაური ნამდვილად იმყოფებოდა მანქანაში.

გუშინ დილას გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულია ინგუშეთის პრეზიდენტზე თავდასხმაში სავარაუდო ეჭვმიტანილთა ოთხკაციანი ჯგუფი, რომლის წევრებსაც შეიარაღებულ იატაქქვეშეთთან აქვთ კავშირი. დასახელდა აგრეთვე მანქანაში მყოფი თვითმკვლელი ტერორისტის სავარაუდო ვინაობა. ზოგიერთი წყაროს დაუდასტურებელი ცნობით, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო პიატიმატ მუტალიევა - თებერვალში ნაზრანში განხორციელებული სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული ბოევიკის ჰასან მუტალიევის და. მარტში სხვა სპეცოპერაციის დროს, რამდენიმე ადამიანთან ერთად, პიატიმატ მუტალიევაც დააკავეს, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ მას ბოევიკები გამოიყენებდნენ როგორც ტერორისტ თვითმკვლელს, თუმცა დამამტკიცებელი გარემოებების უქონლობის გამო ის მალე გაუშვეს. გუშინვე მოგვიანებით რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმირ მარკინმა ეს ორივე ინფორმაცია უარყო. მან განაცხადა, რომ ამ საქმის გამო ჯერ არავინ დაუკავებიათ. მანვე აღნიშნა, რომ ჯერ დადგენილი არ არის ტერორისტის ვინაობა და არც ის, კაცი იჯდა მანქანის საჭესთან თუ ქალი. თვითმკვლელისგან დარჩენილია მხოლოდ ტერფის ნაწილი, ბიოლოგიური ნარჩენების გენეტიკური ექსპერტიზა კი ჯერ არ დამთავრებულა. გამოძიება ძირითად ვერსიად მიიჩნევს, რომ აფეთქება შეიარაღებული იატაკქვეშეთის მოწყობილია, სათადარიგო ვარიანტად ამ საქმეში წმინდა კრიმინალური ფაქტორი განიხილება ანუ პრევენციული დარტყმა კორუმპირებული ჩინოვნიკების მხრიდან.

რუსეთის პრეზიდენტმა დამნაშავეები, რომლებმაც ტერაქტი 22 ივნისს, მეორე სამამულო ომის დაწყების დღეს მოაწყვეს, ფაშისტებს შეადარა. პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს სულაც არ უკვირს, რომ მთავარი დარტყმა სწორედ ევკუროვზე განახორციელეს, რადგან იგი წარმატებით და მრავალმხრივი მეთოდებით ებრძოდა შეიარაღებულ იატაკქვეშეთს და კორუფციას.

ტრანზიტული ცენტრი "მანასის" ბაზაზე

მარიკა იაშვილი

AFP ' 2009

აშშ-სა და ყირგიზეთის მთავრობებმა ორშაბათს ახალ შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელიც "მანასის" საერთაშორისო აეროპორტში ტრანზიტულ გადაზიდვათა ცენტრის შექმნას ითვალისწინებს. ამჟამად "მანასში" ამერიკული ავიაბაზა მდებარეობს, რომლის ლიკვიდაციაც აგვისტოს შუა რიცხვებისთვის იყო დაგეგმილი.

შეთანხმება ცენტრისთვის ბაზის მთელი ინფრასტრუქტურის გადაცემას ითვალისწინებს. დოკუმენტში საუბარია ცენტრის გამოყენებით ავღანეთში საჭირო არასაბრძოლო დანიშნულების ტვირთის ტრასპორტირებაზე. საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინ ყირგიზეთი ბაზაზე უცხოელი სამხედროების ყოფნას ეწინააღმდეგებოდა.

ყირგიზეთის პარლამენტის დეპუტატებმა "მანასის" აეროპორტში ტრანზიტულ გადაზიდვათა ცენტრის შექმნის შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის საკითხის განხილვა უკვე დაიწყეს. ისინი იმ უძრავი ქონების საკითხსაც განიხილავენ, რომლის ცენტრში განთავსებაც შეთანხმების მიხედვით ნებადართული იქნება.

შეთანხების საკითხი პარლამენტის საგარეო საქმეთა და საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტმა რიგგარეშედ განიხილა.

დოკუმენტზე ხელის მოწერის ფაქტს ყირგიზეთის მთავრობის პრესსამსახურში ადასტურებენ, თუმცა უფრო დეტალური კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

"მანასის" ავიაბაზა, რომლის ფართობი 224 ჰექტარია, ყირგიზეთში 2001 წლის დეკემბერში გაერო-ს მანდატით გაიხსნა, რომელიც ავღანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ამერიკული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში სამხედრო მოქმედებებსა და ჰუმანიტარულ დახმარებას ეხება. ამჟამად ბაზაზე, დაახლოებით, 1500 ამერიკელი და კოალიციის წევრი სხვა ქვეყნების წარმომადგენელი სამხედრო პირი იმყოფება, ამასთანავე "მანასში" დისლოცირებულია სამხედრო-სატრანსპორტო და საწვავის გადამზიდი თვითმფრინავები.

თებერვალში ყირგიზეთის პრეზიდენტმა კურმანბეკ ბაკიევმა განაცხადა, რომ ამერიკული ბაზის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შემდეგ აშშ-სთან შეთანხმების დარღვევის გადაწყვეტილება პარლამენტმაც დაამტკიცა. შეთანხმებები დაირღვა ამერიკის მოკავშირეებთანაც, რომლებიც აგრეთვე სარგებლობდნენ ბაზით.

ბაზის დახურვისთვის ამერიკას ექვსთვიანი ვადა მიეცა. მისი ლიკვიდაციის ბოლო თარიღი 18 აგვისტო იყო.

გასულ კვირას კოალიციის ბაზის მთავარმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა კრისტოფერ ბენსმა დაადასტურა, რომ "მანასის" ბაზაზე დისლოცირებული ამერიკელი სამხედროები მზად იყვნენ, რომ ტერიტორია აგვისტოში დაეტოვებინათ. ცნობილი გახდა, რომ ბაზიდან ტექნიკის გაზიდვაც დაიწყო.

ამერიკული მხარის ცნობით, 2008 წლის განმავლობაში "მანასის" აეროპორტის მეშვეობით ავღანეთის ტერიტორიაზე 20 სხვადასხვა ქვეყნიდან 189 ათასი სამხედრო მოსამსახურის გადაყვანა გახდა შესაძლებელი.

გარდა ამისა, ბაზის წყალობით ყირგიზეთის ეკონომიკაში 60 მილიონი აშშ დოლარი ჩაიდო. ბენსის თქმით, აშშ-ს ხელისუფლება მზად არის, მიმდინარე წელს ქვეყნის ეკონომიკაში და მათ შორის სამშენებლო სფეროშიც კიდევ 50 მილიონი აშშ დოლარი დააბანდოს. ასეთი შეთანხმების მიღწევა ჯერ კიდევ ბაზის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდა. ბენსის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ "მანასის" შესახებ შეთანხმება გაფორმდება, ამერიკა აღებული ვალდებულებების შესრულებაზე უარს არ იტყვის.

გასულ კვირას ბაზის მეთაურობა შეიცვალა - ბაზის ახალმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა ბლეინ ჰოლტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირადად მისთვის ბაზის დახურვის ბრძანება არავის მიუცია.

ექსპერტების მიაჩნიათ, რომ ყირგიზეთის პრეზიდენტის თებერვლის გადაწყვეტილებზე დიდი გავლენა იქონია რუსეთმა. სწორედ წლის დასაწყისში ბაკიევი მოსკოვში სტუმრად იმყოფებოდა. ვიზიტის დროს ოფიციალური მოსკოვისგან მან რამდენიმე შეთავზება მიიღო. კონკრეტულად კი, ავიაბაზის შესახებ შეთანხმების დენონსირებას წინ უძღოდა რუსეთის მიერ ყირგიზეთისთვის კრედიტის მიცემა 2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით და ფინანსური დახმარება 150 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

ვაშინგტონი "მანასის" ბაზის შენარჩუნებას თავიდანვე აქტიურად ცდილობდა, თუმცა ბოლო დროს ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააააქტიურა და დღეს უკვე ბიშკეკს, მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების სანაცვლოდ, აეროპორტის არენდის გაზრდას ჰპირდება.

ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება აქვს ყირგიზეთის ოპოზიციას. ყირგიზეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ბაკიტ ბეშიმოვი მიიჩნევს, რომ "მანასის" სატრანზიტო ცენტრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით ქვეყნის მთავრობამ არათანმიმდევრულობა გამოავლინა.

"მანასის" აეროპორტის მეშვეობით არასაბრძოლო დანიშნულების ტვირთის ტრანზიტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, ყირგიზეთის მთავრობის მორიგი ავანტიურაა, რომელიც ტაქტიკის არარსებობის დემონსტრირებას ახდენს და თავის გადაწყვეტილებებს მუდმივად ცვლის," - განაცხადა ბეშიმოვმა.

ოპოზიციონერის განცხადებით, თებერვალში ბაზის დახურვის შესახებ გაკეთებული განცხადებით და ამჟამინდელი გადაწყვეტილებით, **ხელისუფლება საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში."**

ბეშიმოვმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება შეთანხმების გაფორმების შესახებ მოსალოდნელი იყო." ფრაქციის ლიდერის ცნობით, საპარლამენტო ოპოზიცია, სავარაუდოდ, შეთანხმების წინააღმდეგ გამოვა, ისევე როგორც სხვა სამთავრობო ინიციატივების წინააღმდეგ." უნდა აღინიშნოს, რომ თებერვალში საპარლამენტო ოპოზიცია ბაზის დახურვას ეწინააღმდეგებოდა.

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ ეკონომისტის სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი

ვახტანგ ბურკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაერო ირანის ხელისუფლებას სიმშვიდისკენ მოუწოდებს

მარიკა იაშვილი



AFP' 2009

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ირანის მთავრობის პოლიტიკურ ოპონენტებს წინააღმდეგობის შეწყვეტისკენ მოუწოდა, ხოლო ქვეყნის ხელისუფლებას ძალადობაზე უარის თქმა მოსთხოვა. გენერალური მდივნის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება, რომელიც ორშაბათს გაერო-ს შტაბ-ბინამ გავრცელა, ისლამისტური რესპუბლიკის მთავრობისგან დაპატიმრებების დაუყოვნებლივ შეწყვეტასაც მოითხოვს.

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობის გამოსვლების დროს, სულ მცირე, 17 ადამიანი გარდაიცვალა, ოპოზიციის 457 მომხრე კი 20 მაისს თეირანში მთავრობის აკრძალვის მიუხედავად ჩატარებული მიტინგის დარბევის დროს დააკავეს.

ოპოზიციონერთა დემონსტრაციები კვირაზე მეტია, მიმდინარეობს და მას შემდეგ დაიწყო, რაც 12 ივნისის არჩევნებში გამარჯვებულად მოქმედი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი გამოცხადდა. მისმა მეტოქემ, ოპოზიციის ლიდერმა მირ ჰოსეინ მუსავიმ თავისი გამარჯვების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე გააკეთა და ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა.

ბან კი მუნის განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი **შეშფოთებულია ქვეყანაში არჩევნების შემდეგ მიმდინარე ძალადობით, განსაკუთრებით კი იმით, რომ სამართალდამცავები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებენ ძალას და ამას ადამიანების დაღუპვა და დაჭრა მოაქვს შედეგად."** გარდა ამისა, გაერო-ს გენერალური მდივანი **მოუწოდებს ირანის ხელისუფლებას, პატივი სცეს ფუნდამენტალურ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებს, განსაკუთრებით კი აზრის გამოხატვის, შეკრებისა და საინფორმაციო თავისუფლებას."** ირანში შექმნილი ვითარების გამო, მან ქვეყნის **მთავრობასა და ოპოზიციას უთანხმოების მშვიდობიანად, დიალოგითა და იურიდიული მეთოდებით მოგვარებისკენ მოუწოდა."**

გენერალურმა მდივანმა აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ **ირანელი ხალხის დემოკრატიული ნება სრულებით იქნება დაფასებული."**

ირანში აგორებული ძალადობის ტალღის გამო გაერო-ს გენერალურმა მდივანმა უკვე მეორე განცხადება გააკეთა. პირველი განცხადებით ბან კი მუნი გასულ ორშაბათს გამოვიდა, რომელშიც მან, ისევე როგორც ახლა, მთავრობას ხალხის ნების პატივისცემისკენ მოუწოდა.

ირანის კონსტიტუციის დამცველთა საბჭომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ანულირებაზე უარი განაცხადა. საბჭომ პირობა დადო, რომ დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში რიგ უბნებზე ბიულეტენებს ხელახლა გადაითვლიდა. დადგენილია, რომ წაგებულ კანდიდატთა საჩივრები განიხილება და შედეგები 25 ივნისისთვის გახდება ცნობილი.

კონსტიტუციის დამცველთა საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი აბას ალი კადჰოდაი აღიარებს, რომ რამდენიმე უბანზე ხმის მიცემის პროცესი დარღვევით ჩატარდა და შემოსული ხმების რაოდენობამ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას გადააჭარბა. თუმცა საბჭო არჩევნების შედეგების გადახედვას ამ დარღვევების მიუხედავადაც არ აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთდღიანი მშვიდობის შემდეგ ორშაბათს თეორანში აქციები კვლავ განახლდა და პოლიციამ მანიფესტანტები ისევ დაარბია. დემონსტრაციის მონაწილეები თავისი გამოსვლით პატივს მიაგებდნენ ახალგაზრდა ქალს, რომელიც გასულ შაბათს პოლიციის ტყვიამ იმსხვერპლა.

მიტინგის დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. მიტინგის 200-მდე მონაწილის იძულებისთვის, რათა მათ შეკრების ადგილი დაეტოვებინათ, პოლიცია ჰაერში ისროდა.

სახელმწიფოს უმაღლესმა მეთაურმა აიათოლა ალი ჰამენეიმ პარასკევს საპროტესტო მარშების შეწყვეტის და არჩევნების შედეგებისადმი პატივისცემის გამოვლენის ბრძანება გასცა, მაგრამ საპროტესტო აქციის ყველაზე ძლიერი ტალღა სწორედ მისი გამოსვლის შემდეგ აგორდა, რასაც მინიმუმ 10 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. ვითარების გამწვავებასთან ერთად, პრობლემები შეექმნათ ჟურნალისტებსაც. ქვეყნის ხელისუფლებამ მასობრივი ინფორმაციის უცხოური საშუალებების რეპორტიორებს ოფისების დატოვება აუკრძალა.

ირანის ხელისუფლებამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ოპოზიციას საბოტაჟისა და არეულობის შეწყვეტისკენ მოუწოდა, მათ ქმედებებს კი ირანის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება" უწოდა. მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელისუფლებამ ოპოზიციონერთა გამოსვლებისთვის მკაცრი წინააღმდეგობის გაწევის პირობა დადო, რომელიც ორშაბათის დემონსტრაციის დროს შეასრულა.

ბრიტანელი ანალიტიკოსები ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოკვლევის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გაყალბება ნამდვილად მოხდა.

ცნობილმა ბრიტანულმა კვლევითმა ცენტრმა Chatham House-მა გამოკვლევა ჩაატარა. კვლევის თანახმად, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით აჰმადინეჯადმა ელექტორატის ერთი მესამედის ხმა მიიღო. მისი მხარდამჭერები უნდა ყოფილიყვნენ კონსერვატორები და ცენტრისტები, ასევე ყველა ახალი ამომრჩეველი და რეფორმისტთა თითქმის ნახევარი. მოვლენათა ასეთი განვითარება კი, ექსპერტთა აზრით, თითქმის შეუძლებელი იყო.

ბოლო დროს რეფორმისტებსა და კონსერვატორებს შორის აჰმადინეჯადის პოლიტიკით უკმაყოფილება გაიზარდა, რაც ეკონომიკის საკითხისადმი პრეზიდენტის დამოკიდებულებით და საერთაშორისო საზოგადოებისადმი მისი ანტაგონისტური მიდგომით არის გამოწვეული.

ამერიკა რადარებზე უარს არ ამბობს

ბარაკ ობამას ადმინისტარაცია არ თანხმდება რუსეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ სტრატეგიული თავდაცვითი შეიარაღების შემცირება ამერიკის მიერ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგებას დაუკავშირონ, - ასეთი განცხადება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადენელმა იენ კელიმ ზუსტად იმ დროს გააკეთა, როცა ჟენევაში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ახალი ხელშეკრულების მომზადებაზე მოლაპარაკებების მესამე რაუნდი მიმდინარეობს. ძველ ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი 1989 წელს მოეწერა, ვადა ამ წლის დეკემბერში გასდის.

მანამდე რუსეთის პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება, ერთმანეთთან დაეკავშირებინათ რუსეთის მზადყოფნა ატომური ქობინებისა და მატარებელი რაკეტების შემცირებაზე და ამერიკის უარი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების ევროპაში გალაგებაზე. კელიმ განაცხადა, რომ ამერიკას ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება ევროპაში ამ სისტემების განლაგების შესახებ. მისი სიტყვებით, ამის აუცილებლობა არ იქნება, თუ აღარ იარსებებს ის საფრთხე, რის მოსაგერიებლადაც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა იქმნება.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ისიც აღნიშნეს, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ის ზღვარი, რასაც ამერიკისა და რუსეთის წარმომადგენლები ახლა განიხილავენ, იმაზე გაცილებით დაბალია, ვიდრე ამას ოცი წლის წინ ხელმოწერილი პირველი შეთანხმება ითვალისწინებდა. ამ ხელშეკრულების განახლებისთვის მოლაპარაკებების სასწრაფოდ დაწყებაზე ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები პირველ აპრილს ლონდონში, თავიანთ პირველ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 19-21 მაისს მოსკოვში გაიმართა, მეორე - 1-2 ივნისს ჟენევაში, მესამე ამჟამად ასევე ჟენევაში, მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს. შედეგები, სავარაუდოდ, რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრაზე გახდება ცნობილი, რომელიც 6-8 ივლისს მოსკოვში უნდა გაიმართოს.

რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მეთაურ ნიკოლაი სოლოვცოვს მიაჩნია (მან ეს ცოტა ხნის წინ განაცხადა), რომ შემცირების შემდეგ თითოეულ მხარეს არანაკლებ 1500 ბირთვული ქობინი უნდა დარჩეს. რუსეთი თანახმაა მნიშვნელოვან შემცირებაზე წინა შეთანხმების პარამეტრებთან შედარებით, რომელშიც ექვსი ათასი ქობინი და 1600 რაკეტა იყო გათვალისწინებული. დღეს რუსეთს ამდენი რეალურად არა აქვს, ფინანსური პრობლემების გამო ქობინების რიცხვი სამი ათასზე ცოტა მეტია, რაკეტებისა კი - ათასზე ნაკლები. რუსი სპეციალისტები აცხადებენ, რომ როდესაც პრეზიდენტი მედვედევი სერიოზულ შემცირებაზე ლაპარაკობს, ის, პირველ რიგში, ამერიკელების მიერ შეიარაღების შემცირებას გულისხმობს. რაც შეეხება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებას, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, რუსეთის პრეზიდენტს პირდაპირ არ მოუთხოვია, რომ ამერიკელებმა ამაზე უარი თქვან. უბრალოდ, რუსეთი უნდა დაარწმუნონ, რომ ეს მას არანაირ საფრთხეს არ უქმნის (კარგად ვიცით, როგორი "ადვილია" ასეთ საკითხებში რუსეთის "დარწმუნება"). ისე, ამ საკითხში ბოლომდე გარკვეული არ არის ჩეხეთის პოზიციაც, სადაც რადარი უნდა განლაგდეს, პოლონეთი კი, ფაქტობრივად, თანახმაა რაკეტების განლაგებაზე.

როგორც ჩანს, მოსკოვში დაგეგმილი ობამა-მედვედევის შეხვედრის წინ მხარეები ერთმანეთს "კბილებს უსინჯავენ" და ამასთან, უკანდასახევ გზასაც იტოვებენ. "24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, ორმაგ თამაშს ეწევა და დროის მოგება უნდა, რათა ახალი ხელშეკრულების ძალში შესვლამდე მოასწროს რამდენიმე ქობინიანი რაკეტების განლაგება, რაც მას უკვე შექმნილი აქვს და რისი დაყენების უფლებაც წინა ხელშეკრულებით არ ჰქონდა. ლოგიკურად, არც ახალით ექნება, თუ ვაშინგტონი ფაქტის წინაშე არ დააყენა.

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

რევიუ

დიდ ბრიტანეთში, ბერკშირის საგრაფოში Royal Ascot-ის სახელით ცნობილი სამეფო დღესასწაულების სერია მიმდინარეობს. მესამე დღე, როგორც წესი, ქალებს ეკუთვნით, რომლებიც დოღზე უჩვეულო თავსაბურავებით მოდიან. ამ დღეს აუცილებელია, რომ თავზე რაც შეიძლება შოკისმომგვრელი ან ხელოვნების ნიმუშის მაგვარი კონსტრუქცია გედგათ. ამ ქალბატონმა კი როგორც ხედავთ წესები სრულად დაიცვა და დღის ყველაზე გამორჩეულ ფიგურადაც იქცა.

ტომ კრუზის "შეუსრულებელი მისია 4

რეჟისორმა ჯეი ჯეი აბრამსმა და მსახიობმა ტომ კრუზმა, პოპულარული ბოევიკის - "შეუსრულებელი მისია 4"-ს მორიგი სიქველის გადაღებები დაიწყეს. ფილმს კინოკომპანია Paramount Pictures-ი დააფინანსებს და ტელეეკრანებზე 2011 წელს გამოვა. ჯეი ჯეი აბრამსმა ერთ-ერთ გამომცემლობასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ახალი ბოევიკისთვის "არაჩვეულებრივი იდეა" აქვს. მან სიამაყეც გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ტომ კრუზმა მას კვლავ შესთავაზა ფილმის რეჟისორი გამხდარიყო.

გამომცემლობა აღნიშნავს, რომ კრუზსა და აბრამსს დიდი ერთობლივი გეგმები გააჩნიათ - ისინი აპირებენ ფილმის "ვარსკვლავების გზა" გაგრძელება გადაიღონ, ასევე მელოდრამა კამერონ დიასის მონაწილეობით და რობერტ ლადლემის რომანის მიხედვით თრილერი "მატარეზეს წრე", სადაც მონაწილეობას დენზელ ვაშინგტონი მიიღებს.

ფილმის გადაღებების დაწყება, მთავარი როლის შემსრულებელის ტომ კრუზისა და Paramount Pictures-ის ხელმძღვანელის: კონკრეტულად კი, სტუდიების მმართველი კომპანია Viacom-ის დირექტორის სამნერ რედსტოუნის შერიგების ნიშანია. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში რედსტოუნმა ტომ კრუზი "დიდებულ მსახიობად და კარგ მეგობრადაც" დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს Paramount Pictures-მა, ტომ კრუზთან 14 ფილმზე თანამშრომლობაზე თქვა უარი, რომლის მოტივადაც მსახიობის მონაწელეობით გადაღებული ფილმების არც ისე წარმატებულ შემოსავალს ასახელებდნენ. ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ "შეუსრულებელი მისია 3"-მა მსოფლიო კინოგაქირავებაში 400 მილიონი დოლარის შემოსავალი მოიტანა.

ტომ კრუზთან განხეთქილების შემდეგ, Paramount Pictures-ი ცდილობდა იტან ჰანტის როლი ბრედ პიტისთვის შეეთავაზებინა, შეპირდნენ საკმაოდ დიდ ჰონორარს - 39 ათას მილიონ დოლარსაც, თუმცა ეს უკანასკნელი ამ ფილმით საერთოდ არ დაინტერესდა. ბრედ პიტის თანხმობის შემთხვევაში, ეს კინოს ისტორიაში ყველაზე დიდი ჰონორარი იქნებოდა, რომელიც ოდესმე ერთ ფილმში მონაწილეობისთვის ერთი მსახიობისთვის მიუციათ.

თავად კრუზი სტუდიას United Artists სათავეში ჩაუდგა, რომლის ეგიდიდაც, მსახიობის ბოლო ფილმები გამოუშვეს.

შეგახსენებთ, რომ ფილმ "შეუსრულებელი მისია 1"-ის შემოსავალმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით - 456,4 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო მეორე ფილმმა მის შემქმნელებს 545,9 მილიონი დოლარი მოუტანა.

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲖᲐᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

1. გურამ მეგრელიშვილი, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, **თამაში რევოლვერით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქვანავა, **დაუმთავრებელი ამბავი** (დიოგენე)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრდიდობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **წიგნი** (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, **სუნთქვა ხუთვისას** (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მწერლობა)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

1. ლაშა ბუღაძე, **კარიკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოლენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაიდუმლის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩიხლაძე, **ფემინინე** (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, **ბრეიგელის მთვარე** (პეგასი)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲔᲡᲐ

1. ლაშა ბუღაძე, **ნაფტალინი** (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ჟურნ. "ჭოროხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘ

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთვისებო კაცი"** (დიოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის **"ძაღლი, ძაღლი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედევრები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"** (არეტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქავჭაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის **"თხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურღაია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სევდიანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახაძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დიოგენე)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲔᲡᲡᲔᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ

1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიალონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკილაშვილი, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჟანიძე, **მუჰამედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

1. დიანა ანფიმიადი, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კავლელი, **ინდოჩინეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდები** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ღობე** (საარი)

ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ

თბილისის წიგნის ფესტივალი 25-28 ივნისს გაიმართება

ია ვეკუა

როგორც იქნა, დადგა დღე, როდესაც თამამად შეგიძლიათ ყულაბები გატეხოთ, მუთაქები ამოქექოთ და საძულველი საკრედიტო ბარათებიდან სპეციალურად ამ დღეებისთვის გადადებული თანხა გამოიტანოთ - 25-დან 28 ივნისის ჩათვლით მეთერთმეტედ გაიმართება თბილისის წიგნის ფესტივალი, სადაც წლის განმავლობაში ნაგროვები ფულით სასურველ წიგნებს საგრძნობი ფასდაკლებით შეიძენთ. ფესტივალი ტრადიციულად დიდუბის საგამოფენო ცენტრი ექსპო ჯორჯიას ტერიტორიაზე, მეცხრე პავილიონში გაიმართება.

რა შეიძლება შევიძინოთ წიგნის ბაზრობაზე - პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ქაღალდზე იბეჭდება, თვალით იკითხება და გონებით აღიქმება. ფესტივალი საკუთარი პროდუქციის წარმოსადგენად კარგი საშუალებაა არა მხოლოდ წიგნის, არამედ პერიოდული გამოცემებისა და სპეციალური ჟურნალების გამომცემლებისთვისაც. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის გვერდით ჟურნალ ამარტას სტენდსაც შეხვდებით და ავტო ბილდისაც .

იმისთვის, რომ ადამიანი მკითხველად, უკეთეს შემთხვევაში კი კარგ მკითხველად გაიზარდოს, საჭიროა კითხვას ბავშვობის ასაკიდანვე შეეჩვიოს. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებს ბევრი გამომცემლობა, რაც წიგნის ბაზრობაზე საბავშვო ლიტერატურის განსაკუთრებით დიდ რაოდენობას და ფართო არჩევანს განაპირობებს. სწორედ აქ შეგიძლიათ ნახოთ და გაიგოთ, რომ წიგნის დაბეჭდვა ნაჭერზეც შეიძლება, მუყაოზეც და და კიდევ რა მასალაზე, ამას ალბათ წელს შევიტყობთ (ამ ერთი წლის განმავლობაში ტექნიკა ხომ გავითარდებოდა...)

ჩატარდება არაერთი საბავშვო ღონისძიებაც. მაგალითად 27 ივნისს, პირველ საათზე ჟურნალი წიგნი და სამყარო და გამომცემლობა ელფი ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ ბავშვებს დააჯილდოებენ. კონკურსი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა და უკვე გამოვლენილია 30 ფინალისტი. ფინალი ფესტივალის გახსნამდე ორიოდე დღით ადრე ჩატარდება, სადაც საუკეთესო სამეულს შეადგენენ, წიგნის ფესტივალზე კი დააჯილდოებენ.

წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 10 წლის გახდა, ამიტომ მისი ფესტივალში მონაწილეობა საიუბილეო და განსაკუთრებულია. გარდა იმისა, რომ გამომცემლობის სტენდს ორიგინალური დიზაინი და საინტერესო კონცეფცია ექნება, წლის განმავლობაში გამოცემულ 50-ზე მეტი დასახელების ახალ წიგნსაც წარმოადგენს. ფესტივალის სტუმრებისთვის მომზადებულია შემდეგი აქციები: 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით 10%-იან ფასდაკლება, 25%-იან ფასდაკლება ზუმ-კლუბის წევრებისთვის, მხიარულ ლატარია - გახდი იღბლიანი მე-10, 80%-მდე ფასდაკლებას ქართულ და უცხოურ პროზაზე და ორიგინალური დიზაინის საფირმო ჩანთა წარწერით მე ვარ წიგნის ჭია".

26 ივნისს 13 საათზე გამომცემლობა გამართავს ფოტოკონკურს მე მიყვარს კითხვას" გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალს. კონკურსის მონაწილეებს ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოეგზავნათ ნამუშევრები თემაზე: იკითხე, სადაც გინდა; იკითხე, რაც გინდა; იკითხე, როგორც გინდა; იკითხე, რამდენიც გინდა . გამარჯვებულებს გამომცემლობის გარდა დააჯილდოებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ფოტოსამყარო , ჯიპაი ჰოლდინგი , GWS, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და წიგნის მაღაზია სანტა ესპერანსა .

27 ივნისი კი წლის ერთ-ერთი მთავარი დღეა - გაიმართება ლიტერატურულ პრემია წლის საუკეთესო მოთხრობის დაჯილდოების ცერემონიალი. დააჯილდოებენ იმ ავტორებს, რომელთა ნაწარმოებებიც კრებულ 15 საუკეთესო მოთხრობაში შევიდა. დაწესებულია სამი მთავარი პრემია 1000, 500 და 300 ლარის ოდენობით. ასევე გამოვლინდება ინტერნეტ-რჩეული" და ჯეორჩეული".

ტრადიციული მწვანე შაბათი ექნება გამომცემლობა დიოგენეს , რაც იმდენ პროცენტიან ფასდაკლებას ითვალისწინებს, თვის რომელი რიცხვიცაა. ამრიგად შაბათს, ანუ 27 ივნისს საკმაოდ სარფიანად შეძლებთ ამ გამომცემლობის წიგნების ყიდვას. დიოგენეს კიდევ ერთი ფასდაკლების აქცია აქვს - ყოველი კენტი საათის ბოლო ათი წუთის განმავლობაში წიგნები 20-40%-იანი ფასდაკლებით გაიყიდება. 26 ივნისს გამომცემლობა ორ ახალ კრებულს წარმოგვიდგენს: მაკა ლდოკონენის ქიშმიშიანი ამბებს და კოტე ჯანდიერის კონკიას ღამეს .

ბავშვებისთვის გამომცემლობას არა ერთი ღონისძიება აქვს დაგეგმილი: 27 ივნისს, 12-დან 15 საათამდე გაიმართება ქეთევან და მანანა აბრამიშვილების მიერ შედგენილი პლასტილინის ილუსტრაციებიანი მოთხრობების, ლექსების, თავსატეხებისა და გამოცანების კრებული მოდით, მოდით, ბავშვებო . პატარებს საშუალება ექნებათ წიგნის ავტორებთან ერთად პლასტილინისგან ფიგურები გამოძერწონ. წიგნი სულ რაღაც 5 ლარი ეღირება და როგორც გამომცემლები აცხადებენ, ზაფხულის არდადეგებისას საუკეთესო გასართობი იქნება. კვირას, 28 ივნისს ერთი წიგნის დღეა, რომელიც საყმაწვილო ენციკლოპედიის სერიის ახალ გამოცემა, სპორტს დაეთმობა. გათამაშდება სპორტული ლატარიაც, ხოლო წიგნის მყიდველი დასაჩუქრდება სერიის მომდევნო წიგნის მუსიკის 20%-იანი ფასდაკლების ბარათით.

კიდევ ერთი ლატარია დიოგენესგან : წიგნების შეძენისას გადახდილ ყოველ 10 ლარზე მყიდველი მიიღებს ლატარიის ბილეთს, რომელიც კვირას გათამაშდება. დაწესებულია სამი პრიზი. ორი პრიზი ითვალისწინებს დიოგენეს მიერ წლის განმავლობაში გამოცემული ყველა ახალი წიგნის უფასოდ მიღებას, ხოლო მთავარი პრიზია შემოდგომაზე ფრანკფუტში დაგეგმილ წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე გამგზავრება.

ᲙᲔᲘᲗ ᲛᲝᲡᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲐ

ცნობილმა ამერიკელმა მოდელმა კეიტ მოსმა ჯგუფ The Kills-ის ექვსი ახალი კომპოზიცია გაანადგურა. აღნიშნული ინციდენტი გასულ კვირას მოხდა.

გაზეთ Daily Mirror-ის ინფორმაციით, მოსი და მისი ახლანდელი მეწყვილე, The Kills-ის გიტარისტი ჯეიმი ჰინსი, რომლებიც გასულ უიკენდს, მოდელის ქალაქგარეთ მდებარე სახლში ატარებდნენ, მოულოდნელად წაკამათდნენ, რის შემდეგაც მუსიკოსის მეგობარმა გოგომ ბასეინში თავისი პირადი ნივთებით სავსე ჩანთა გადააგდო. გარდა BlackBerry-ის ტელეფონისა და მისი დღიურისა, ჩანთაში ნოუთბუქიც იდო, სადაც The Kills-ის ჯერ კიდე უცნობი ექვსი კომპოზიცია ინახებოდა. ჰინსი მაშინვე გადახტა ბასეინში იმ იმედით, რომ თავის შემოქმედებას გადაარჩენდა, თუმცა დასველებული ნოუთბუქიდან დაკარგული მეხსიერების აღდგენა ვეღარ შეძლო. Daily Mirror-ის ცნობით, მან ნოუთბუქიდან დისკი ამოიღო და გააშრო, თუმცა გიტარისტის ყველანაირი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. გაზეთის ჟურნალისტის თქმით, ჰინსი ძალიან გაბრაზებული და განცვიფრებული იყო, თუმცა საბოლოო ჯამში იგი მოსს შეურიგდა, რომელიც მას ახალი ნოუთბუქის ყიდვას შეპირდა. The Kills-ის ერთ-ერთი წევრის, ჰინსის კოლეგის კომენტარის მიხედვით, მომხდარი ინციდენტის შესახებ, "ჩაძირულ" ტრეკებზე გამომცემლობა პასუხს არ აგებს.

დუეტი The Kills-მა, რომელიც 2000 წელს შეიქმნა, თავისი არსებობის განმავლობაში სამი ალბომი გამოუშვა. კოლექტივის უკანასკნელი ალბომი იყო 2008 წელს გამოსული - Midnight Boom. დისკის პრეზენტაციის შემდეგ, ჯგუფი საგასტროლო ტურნეზე გაემგზავრა. მოგვიანებით The Kills-ის ვოკალისტი მოსჰარტი The White Stripes-ის ლიდერს - ჯეკ უაიტს, პროექტ The Dead Weather-ში შეუერთდა. ამ ჯგუფში მისი მონაწილეობა, მას არანაირად არ ათავისუფლებდა The Kills-ის ვალდებულებებისგან.

დაწვით, დაანგრიეთ, დატბორეთ!

ლონდონში ფუტურისტების მანიფესტისადმი მიძღვნილი გამოფენა მიმდინარეობს

ლონდონის გალერეა Tate Modern მეორე დღეა ფუტურისტული მიმდინარეობის წარმომადგენელთა მიერ ზუსტად 100 წლის წინ გამოქვეყნებული მანიფესტის საიუბილეო გამოფენა მიმდინარეობს. მანიფესტი, რომელიც იმ პერიოდში საზოგადოებისა და მხატვართა დიდი ნაწილისთვის ერთგვარი გამოწვევა, რევოლუციური ნაბიჯი და შესაბამისად მიუღებელიც იყო, საბოლოოდ კი ფუტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

ფილიპო მარინეტი

იტალიელი მწერლის, ფილიპო მარინეტის მიერ 100 წლის წინათ დაწერილი მანიფესტის ტექსტი დაახლოებით ასე ჟღერდა: ამ მანიფესტით ფუტურიზმის ლეგალიზებას ვახდენთ, რადგან გვსურს, ჩვენი ქვეყანა პროფესორებისგან, არქეოლოგებისგან, ანტიკვარებისგან და მსგავსი ტიპის განგრენული წარმონაქმნებისგან გავათავისუფლოთ. იტალია დიდი ხნის განმავლობაში სიძველეების ქვეყანა იყო. სწორედ მისი გათავისუფლება გვსურს უთვალავი მუზეუმისგან, რომლებიც მთელ ქვეყანას საფლავებივითაა მოდებული და თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს. მუზეუმები სასაფლაოებია!... მეუზეუმები მხატვრებისა და მოქანდაკეების აბსურდული სასაკლაოებია, რომლებიც ერთმანეთს ფერებითა და ხაზებით ხოცავენ კედლებს შუა მოქცეულ არენაზე! ჩვენ ახალგაზრდა და ძლიერი ფუტურისტები ვართ და არ გვსურს, რამე საერთო გვქონდეს სიძველესთან! დაწვით ბიბლიოთეკების თაროები! წყლის ჭავლი მიუშვით და დატბორეთ მუზეუმები!.. რა აღმაფრთოვანებელია უყურო, როგორ მიცურავენ ამ მდინარეებში ძველი ნახატები, რომლებმაც უკვე დაკარგეს ფერიც და მნიშვნელობაც!.. ხელში აიღეთ ნაჯახები, ჩაქუჩები და დაანგრიეთ სიძველით გაჭაღარავებული ქალაქები!

ჩვენს შორის ყველაზე უფროსი 30 წლისაა, ასე რომ ჩვენ მინიმუმ 10 წელი მაინც გაქვს წინ, რომ ჩვენი საქმე დავასრულოთ. როდესაც 40 წელი შეგვისრულდება, წამოგვეწევა ახალი თაობა, ახალგაზრდები, ძლიერები, რომლებიც ჩვენც ძველი ხელნაწერებივით ისევე მოგვისვრიან სანაგვეზე, როგორც ახლა ჩვენ ვაკეთებთ ამას - სწორედ ასე გვსურს, რომ იყოს! ისინი ჩვენს გვერდით დაიხუთებიან და მოწყენილობისგან ჩვენს მიმართ სიძულვილიც გაუჩნდებათ. შესაძლოა ჩვენი მოკვლაც კი მოუნდეთ და მხეცებივით დაგვესხმიან თავს. მათი სიძულვილი მით უფრო დიდი იქნება, ვიდრე მათი გულები ჩვენდამი აღფრთოვანებით იქნება სავსე. ახლა კი სწორედ ჩვენ ვდგავართ სამყაროს მწვერვალზე და ვარსკვლავებს დუელში ვიწვევთ!

როგორც ხედავთ, მანიფესტის ტექსტი საკმაოდ რადიკალურია, დღევანდელი გადასახედიდანაც კი. პირველად ეს ტექსტი პარიზული გაზეთის, Le Figaro-ს პირველ გვერდზე დაიბეჭდა. მაშინ გაზეთის ყველა ნომერი გაიყიდა - ზოგმა იგი ფუტურისტებისადმი სიმპატიის გამო იყიდა, უმეტესობამ - უბრალოდ ინტერესისთვის, რათა გაეგო, სინამდვილეში რა სურდათ ნამდვილი ხელოვნების მტრებს .

გამოფენამ, რომელიც თებერვლიდან მიმდინარეობს, უკვე მოიარა პარიზი და რომი. აქ ფუტურიზმის ცნობილი და თანამედროვე წარმომადგენლების გარდა პიკასოსა და ბრაკის ნამუშევრებიცაა გამოფენილი, ანუ მათი, ვისი სახელიც უფრო კუბიზმთან ასოცირდება, ვიდრე ფუტურიზმთან.

გამოფენის კურატორი მეტიუ გეილი ფუტურიზმის არსს ხსნის: ფუტურისტებისთვის ძირითადად ქუჩის ცხოვრება, ყოველდღიური რეალობა, ტექნიკური პროგრესი და მათგან მიღებული აღტაცებაა მთავარი. სწორედ უბრალოებისადმი მათი დამოკიდებულების გამო შეძლეს გარშემო უდიდესი პუბლიკის შემოკრება - იმ ხალხის, ვინც საქალაქო ტრანსპორტით, მატარებლით მგზავრობდნენ, საღამოობით კი კაბარეს წარმოდგენებს ესწრებოდნენ. თუ კუბისტების ნამუშევრები ფორმის ანალიზის თვალსაზრისით იყო უდიდესი ნაბიჯი თანამედროვე ხელოვნებაში, ფუტურისტების მასაზრდოებელი ყოველდღიური ცხოვრებიდან მიღებული დინამიკა იყო .

გამოფენაზე ამ ცნობილი მანიფესტის გარდა კიდევ ერთი ისტორიული დოკუმენტი გამოიტანეს - 1912 წელს გამოქვეყნებული ქალი ფუტურისტების მანიფესტი, რომლის ავტორიცაა ფემინიზმის ერთ-ერთი პირველი აქტივისტი ვალენტინა სენტ-პუანი. მეტიუ გეილი აგრძელებს: მანიფესტების შედგენის იდეა მარინეტისთვის ერთგვარ ახალ ხელოვნებად, საკუთარი იდეების განსხვავებული ფორმით გავრცელების საშუალებად იქცა. იგი თითქოს შეპყრობილი იყო პროკლამაციების, ბუკლეტებისა და პლაკატების გავრცელებით, რომლებსაც არა მხოლოდ იტალიაში, არამედ ევროპის სხვა ქალაქებშიც აგზავნიდა. სწორედ ეს მიიჩნევა მომავალში ასე პოპულარული ავანგარდული აქციების ერთგვარ წინაპირობად .

24 ივნისი

თეატრი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი
ბერნარდა ალბას სახლი
რეჟისორი ნანა კვასხვაძე
დასაწყისი: 19.00

კინო

ამირანი
შეთავაზება
დასაწყისი: 18.00; 20.00; 22.15
მფრინავი სახლი
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 19.45
ტერმინატორი 4
დასაწყისი: 13.00; 22.00;
ანგელოზები და დემონები
დასაწყისი: 15.30;

საქართველო
მაგადასკარი 2
დასაწყისი: 13.00;
X ადამიანი
დასაწყისი: 17.00; 19.00; 21.00
აწყვეტილები 4
დასაწყისი: 15.00;

ოპერა 157-ე თეატრალურ სეზონს ხურავს



დღეს, 19 საათზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დახურავს 157-ე თეატრალურ სეზონს. ტრადიციულად, წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა "დაისი".

სპექტაკლს რევაზ ტაკიძის დირიჟორობით შეასრულებენ მომღერლები: ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, არმაზ დარაშვილი, სულხან გველესიანი, გია ასათიანი, თამაზ საგინაძე, თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი - ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი - შალვა შაორშაძე), ორკესტრი, მოცეკვავეები: მაია ალფაიძე, აბესალომ გოგუა, დავით ხოზაშვილი, ბესო შათირიშვილი.

"დაისის" აღნიშნული წარმოდგენა ეძღვნება დიდი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს.

ჰარისონის უცნობი სიმღერები დიდ ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში ჯგუფ The Beatles-ის გარდაცვლილი ნევრის ჯორჯ ჰარისონის აქამდე უცნობი და გამოუქვეყნებელი სიმღერების ალბომი გამოვა. ამ სიახლის შესახებ ინფორმაცია, 17 ივნისს პორტალმა Contactmusic.com-მა გაავრცელა. დისკს ჰარისონის მეგობარი, მუსიკოსი ჯეფ ლინი (Jeff Lynne) გამოუშვებს. როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ლინის საკუთრებაში "ბითლსის"-ს უამრავი უცნობი ჩანაწერია. მუსიკოსი მათგან ალბომს შექმნის, ხოლო გამოსვლის თარიღი ჯერ უცნობია.



1980-იან წლებში ლინი და ჰარისონი ერთად უკრავდნენ ჯგუფ The Traveling Wilburys-ში. ჯგუფის დაშლის შემდეგ ორივე მუსიკოსმა აქტიური თანამშრომლობა გააგრძელა, მანამ, სანამ 2001 წელს ჰარისონი არ გარდაიცვალა.

გარკვეული დროის განმავლობაში, ჰარისონის უცნობი სიმღერების გამოქვეყნება, მის ქვრივს ოლივიასაც სურდა და ამის შესახებ აქტიურად საუბრობდა, თუმცა არ აკონკრეტებდა, თუ კონკრეტულად ვის უნდა ეთავა ალბომის გამოცემა.

მუსიკოსის სიცოცხლის ბოლო წლებში, ლინი და ჰარისონი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ამ დროისთვის გავრცელებული ინფორმაციით, ლინს კარგი ურთიერთობა აქვს ჰარისონის ქვრივთან და მის ვაჟ დჰანისთან.

1995 წელს სწორედ ჯეფ ლინმა აღადგინა ჯონ ლენონის ადრე უცნობი სიმღერის - Free As a Bird-ის ხმოვანება. გარდაცვლილი ლენონის ვოკალი, მან 1977 წელს გაკეთებული ჩანაწერის დემო-ვერსიიდან ამოიღო. ლინი გარდაცვლილი მუსიკოსის უკანასკნელი ალბომის დამთავრებაშიც იღებდა მონაწილეობას. დისკი, სახელწოდებით -Brainwashed, "ბითლის" გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ - 2002 წელს გამოვიდა გასაყიდად.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ.№10) აცხადებს ტენდერს 3 ლოტად მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლებისა და ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. ლოტი - 1.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჭყონის კულტურის სახლის სახურავის და გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი - 2.

მარტვილს მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგვაზაოს კულტურის სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი -3.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ვედიდკარის, დიდი ჭყონის და სერგიეთის ტერიტორიული ორგანოების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამუშაოების შესრულების ვადა - 75 დღე.

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დალუქული კონვერტის სახით ერთ ეგზემპლიარად (დედანი) სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. №10, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ტელ: **8 99 58 98 04**. სატენდერო წინადადების წარდგენის ვადაა 2009 წლის 16 ივლისის 15 საათამდე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 24 ივნისიდან 2009 წლის 15 ივლისამდე.

4. სატენდერო მოსაკრებლის რაოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, საქართველოს ეროვნული ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 300353174.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ მარტვილის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

6. იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მისი მისამართით არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

7. ფიზიკური პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (გვარი, სახელი, მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).

ბ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

8. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან გაკოტრებისა ან სანაციის საქმის წარმოების შესახებ.
- ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღისა და ინკასოს არარსებობის შესახებ.
- პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესრულებული ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 100%. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დამკვეთისა და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით.

აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება თითოეულ ლოტზე. შესაბამისად, რამდენიმე ლოტში მონაწილეობის შემთხვევაში მოთხოვნილი მოცულობა გაიზრდება ლოტების ღირებულების პროპორციულად.

- სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).
- პრეტენდენტთა მიერ განცხადების მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

- სატენდერო წინადადება გაიხსნება მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წ. 16 ივლისს, 15 საათზე. ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ.№10, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ტელ: 8 99 58 98 04.

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ .

სატენდერო კომისია

აუქციონი

შპს მახინჯაურის ციტრუსის გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს.

აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ავტოფარეხის ტერიტორია და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით 5140 კვ.მ.;
2. კლუბი, საცხოვრებელი სახლის მეორე სართული, 254 კვ.მ. და მასში შემავალი ამორტიზებული ინვენტარი (სავარძელი 14 ცალი, მაგიდა 6 ცალი, სკამი 130 ცალი და პიანინო 1 ცალი);
3. რკინის ბავშვის საწოლები 14 ცალი (ამორტიზებული);
4. სეიფები 5 ერთეული, სხვადასხვა ზომის;
5. ოფისის მოწყობილობა: მაგიდები მისაბმელით 3 ცალი;
6. ციტრუსის მიმღები პუნქტი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი 325 კვ.მ.;
7. ციტრუსის მიმღები პუნქტი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი 36 კვ.მ.;
8. სამოქალაქო თავდაცვის ბუნკერი;
9. მრავალწლიანი ნარგავები;
10. წყლის ცისტერნა 23 ტონიანი;
11. სასმელი წყლის ტრასა;
12. ასფალტის საფარი;
13. სახანძრო აუზი 3 ცალი;

ზემოთ ჩამოთვლილი ქონება იყიდება 1 ლოტად და საწყისი ფასი შეადგენს 157 000 (ასორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარს. ბიჯი - 1000 ლარი, ბე - 5000 ლარი. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა ბილეთის ღირებულება შეადგენს 50 ლარს.

მისამართი: ხელვაჩაურის რაიონი, დაბა მახინჯაური, წერეთლის ქ. 1.

რეკვიზიტები:

ა/ნ 36020053
კოდი: 220101457
ს/კ 248381040
სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2009 წლის 24 ივნისიდან 23 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, 10 სთ-დან 15 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 24 ივლისს, დღის 12 საათზე შპს მახინჯაურის ციტრუსის ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება ეძლევა 30 (ოცდაათი) საბანკო დღეში დაფაროს მთლიანი სააუქციონო თანხა, აუქციონში გამარჯვების დღიდან.

ტელ: 899 50 98 43/877 72 66 51
E-mail: postako@mail.ru

გაკოტრების მმართველი: იოსებ ბარამიძე

შპს "მტკვარი ჰესი" აცხადებს ინტერესთა გამოხატვას სამცხე-ჯავახეთში მშენებარე ჰიდრო ელექტრო სადგურისათვის აგრეგატების (ტურბინა-გენერატორებისა და რეგულიტების მოწყობილობის) მოწოდებაზე. დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ გვერდზე: www.cei.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

შპს "მტკვარი ჰესი"
მის: ალ. ყაზბეგის გამზირი 44, III სართული
ტელ:(+995 32) 393256
მობ: (+995 95) 309950
ელ. ფოსტა: **cei@cei.ge**

შპს "მტკვარი ჰესი" აცხადებს ინტერესთა გამოხატვას სამცხე-ჯავახეთში 38-42 მგვ სიმძლავრის ჰიდრო ელექტრო სადგურის მშენებლობაში მონაწილებაზე. დეტალური ინფორმაცია იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე: www.cei.ge

დამატებითი ინფორმაცისთვის დაგვიკავშირდით:

შპს "მტკვარი ჰესი"
მის: ალ. ყაზბეგის გამზირი 44, III სართული
ტელ:(+995 32) 393256
მობ: (+995 95) 309950
ელ. ფოსტა: **cei@cei.ge**

სპორტი

ეროვნული ნაკრების დებიუტანტი როდ აილენდიდან

20 ივლისს ავსტრიაში შეკრებას იწყებს საქართველოს ნაკრები კალათბურთში, რომელიც აგვისტოში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებს გამართავს. იგორ კოკოშკოვმა ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა 19 წლის ლევან შენგელია, რომელმაც სულ ახალახან გააფორმა კონტრაქტი ამერიკის სტუდენტური ლიგის (NCAA, A დივიზიონი) ბინადარ როდ აილენდის უნივერსიტეტის გუნდთან. სანამ ლევანი ეროვნულ ნაკრებში მოსინჯავს ძალებს, 16-26 ივლისს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მოუწევს ასპარეზობა.

ინტერვიუ ლევან შენგელიასთან, რომელსაც გთავაზობთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

- მოგილოცო ამერიკის სტუდენტური ლიგის უმაღლეს დივიზიონში მოხვედრა?

- დიახ, ეს უკვე გადაწყვეტილია. კლუბმა კონტრაქტი გამიფორმა და უნივერსიტეტშიც ჩავაბარე. სამი გამოცდა წარმატებით გავიარე. ბოლო ტესტის პასუხები არ ვიცი, თუმცა, არა მგონია, უარყოფითი შედეგი მქონდეს და უნივერსიტეტს მიღმა დავრჩე.

- ესე იგი, როდ აილენდის უნივერსიტეტში ისწავლი კიდეც...

- ეს აუცილებელი მოთხოვნაა. ნებისმიერმა მოთამაშემ, თუნდაც კალათბურთელის ფენომენალური ნიჭით იყოს დაჯილდოებული, უნდა ისწავლოს იმ უნივერსიტეტში, რომლის გუნდშიც თამაშობს და გამოცდებიც თავად ჩააბაროს.

- ეგრეა. თუმცა უნივერსიტეტში ჩაბარებაში კალათბურთი ხომ გარკვეულწილად ეხმარება სპორტსმენებს?

- შეღავათები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ თუ არ ისწავლე, უნივერსიტეტში არავინ მიგიღებს. ჩემი მიზანი, პირველ რიგში, კალათბურთის თამაში იყო და ამერიკაშიც ამიტომ ჩავედი. თუმცა კალათბურთით როდ აილენდის უნივერსიტეტში მოხვედრის მსურველი 13 ათასი ახალგაზრდა იყო. აქედან გუნდში და, შესაბამისად, უნივერსიტეტშიც, სულ ოთხნი მოვხვდით.

- შერჩევის პრინციპი როგორი იყო?

- იმ 13 ათასში იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც, რომ შეხედავ, მაშინვე მიხვდები, რომ კალათბურთელი ვერ გამოვა. მათ გასინჯვას აზრიც არ ჰქონდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ძირითადად შავკანიანი ბიჭები, რომლებსაც ძალა ერჩოდათ, სტრიტბოლის თამაშით კი კალათბურთთანაც არ იყვნენ მწყრალად. სწორედ ასეთებს მოგვეცა როდ აილენდის გუნდში გასინჯვის შანსი. მე არ მივარჯიშია, ორმხრივი თამაში გაიმართა და მასში მივიღე მონაწილეობა.

- რატომ მაინცდამაინც როდ აილენდის უნივერსიტეტი?

- ამ გუნდის მწვრთნელს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი თამაში DVD-ზე ჰქონდა ნანახი და ინტერესიც გამოავლინა. ამაში ჩემი მეგობარი დამეხმარა, რომელმაც მწვრთნელს ჩემი თამაშის ჩანაწერი მიაწოდა.

ლევან შენგელია

- მანამდე სად იყავი? გასული სეზონი თითქმის გაგიცდა...

- ამერიკაში იანვარში ჩავედი და ჩრდილოეთ კაროლინის ერთ-ერთ ჰაი სქულის გუნდში ვთამაშობდი. ეს გუნდი ამერიკის ერთ-ერთ სამოყვარულო, 20 წლამდელთა ლიგაში გამოდიოდა. იქ ორი თვე დავყავი. სეზონის დასრულების შემდეგ პირადი მწვრთნელი დავიქირავე და ვემზადებოდი, რომ სტუდენტური ლიგის რომელიმე გუნდში მოვხვედრილიყავი. NCAA-ს სამი დივიზიონი აქვს და ძალიან კმაყოფილი ვარ, მათგან უძლიერესში (A) რომ მოვხვდი. თანაც, როდ აილენდი მაჩანჩალა არ არის - თავის კონფერენციაში მეორე ადგილი დაიკავა და ერთი ნაბიჯი დააკლდა, რომ ამერიკის ნაციონალურ ჩემპიონატში, ეგრეთ წოდებულ ფინალურ ეტაპზე ეთამაშა, საიდანაც გუნდები ოთხთა ფინალში გადიან. პოპულარობით სტუდენტური ლიგა NBA-ს აღემატება. წლევანდელი ლიგის ფინალს კალათბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი - 73 ათასი მაყურებელი დაესწრო.

- ამერიკამდე ლიტვაში თამაშობდი. რატომ მოისურვე წასვლა?

- გასული სეზონები ვილნიუსის აკადემიაში გავატარე, სადაც საკმაო წარმატებები მქონდა. უმაღლეს ლიგაშიც გადავედით, მაგრამ მერე მწვრთნელს ვეღარ შევეწყვე და განაცხადშიც კი არ შევყავდი. იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა და შარშან, ნოემბერში, საქართველოში ჩამოვედი, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიასთან კონტრაქტი მაკავშირებდა. მაშინ გადავწყვიტე ამერიკაში წასვლა - სტუდენტურ ლიგაში ფიბას კონტრაქტებს არ ცნობენ. სანამ ამერიკაში ვითამაშებ, აკადემიასთან კონტრაქტს ვადა გაუვა.

- რას ფიქრობ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე?

- სოლიდური შემადგენლობა გვყავს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება შარშანდელს. პირიქით, გამოცდილება მეტი გვაქვს. თანაც 18 წლამდელთა ნაკრებიდან ძლიერი მოთამაშეები დაგვემატნენ - თორნიკე შენგელია, კოკა ტომარაძე, გიორგი შარაბიძე. გიორგი შერმადინიც რომ გვყოლოდა, A დივიზიონში გადასვლა სულ ადვილი იქნებოდა, თუმცა შერმადინი ეროვნულ ნაკრებში უნდა იყოს შეკრების პირველივე დღიდან.

- ახლა როგორი შანსი გაქვთ?

- B დივიზიონში რომ ვართ, ეს შემთხვევითობის გამოა. შარშან ბედისწერა იყო, რომ ელიტიდან გამოვვარდით. იტალიას მოვუგეთ და ისრაელთან და სლოვენიასთან თითქმის მოგებული მატჩები წავაგეთ. თუმცა წარსულის გახსენება არ მინდა. ჩვენ ახლაც კარგი შანსი გვაქვს, რომ A დივიზიონში გადავიდეთ. პირადად მე მხოლოდ ეს მინდა. მინდა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში ელიტაში დავასრულო. ჯერ 19 წლის ვარ და მომავალ წელსაც მიწევს ახალგაზრდული. თუ ყველა მოთამაშე საკუთარი შესაძლებლობების 80 პროცენტს გამოავლენს, ელიტურ დივიზიონშიც იოლად გადავალთ.

- ბოლოს ეროვნულ ნაკრებზე გკითხავ. შენ შეიძლება დებიუტანტად ჩაითვალო...

- დიახ, ასეა. შარშან ვიყავი იგორ კოკოშკოვის შეკრებაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი ვარჯიში ჩავატარე და შანსი აღარ მომცემია. ახლა გამოცდის წინაშე ვარ, რადგან შეკრებაზე მიწევს წასვლა. ჩემს სათქმელს აუცილებლად ვიტყვი.

- ამბიციურად ხარ განწყობილი, რაც კონკურენციას ამძაფრებს...

- კონკურენციას მივესალმები. ვთვლი, რომ რაკი ნაკრებში გამომიძახეს, ამისთვის მზად ვარ. ისიც ვიცი, რომ ძირითადში მოსახვედრად ისეთ კალათბურთელებთან მომიწევს საკუთარი ძალის დამტკიცება, როგორებიც არიან ვლადიმერ ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, ნიკოლოზ ცქიტიშვილი მაგრამ ჩემთვის მოედანზე ყველა ერთია. პირიქით, დიდი გამოწვევა მივიღე და, ერთი სული მაქვს, ეროვნულ ნაკრებს შევუერთდე. შარშან ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ მიხეილ ბერიშვილი და თორნიკე შენგელია, რაც ნაკრების გაახალგაზრდავების პროცესზე მიანიშნებს და ეს ძალიან კარგია. ამ გზით ნაკრების თამაშის სტილი და შედეგები შეიცვლება - რა თქმა უნდა, უკეთესობისკენ.

"ბორჯღალოსნები" - მეჩვიდმეტე საფეხურზე

საქართველოს სარაგბო ნაკრებისთვის ჩერჩილის თასზე სადებიუტო გამოსვლა წარუმატებელი გამოდგა. ბორჯღალოსნებმა ტურნირზე სამივე მატჩი წააგეს და სარეიტინგო ქულები ბლომად დაკარგეს. აშშ-ის კოლორადოს შტატში გამართულ პრესტიჟულ სარაგბო ტურნირზე ქართველებმა ორი ისეთი შეხვედრა წააგეს, რომლის შედეგი IRB-ის რეიტინგზე აისახება - თუ ოკეანისგაღმა გამგზავრების წინ ბორჯღალოსნები რეიტინგში მეცამეტე საფეხურზე იყვნენ, ორშაბათს გამოქვეყნებული რეიტინგის შემდეგ მეჩვიდმეტე პოზიციაზე აღმოჩნდნენ. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ტიმ ლეინის გუნდმა რუსეთის ნაკრებიც წინ გაუშვა. დათვებმა რუმინეთში გამართულ ერთა თასზე ერთადერთი მატჩი ურუგვაისთან მოიგეს, თუმცა, ქართველთა უკან მოსატოვებლად ესეც ეყოთ.

საქართველოს ნაკრებისთვის სავალალო აღმოჩნდა ჩერჩილის თასის გათამაშებაზე გამართული ბოლო მატჩი, რომელიც ბორჯღალოსნებმა მასპინძელ - აშშ-ის გუნდთან წააგეს და მხოლოდ 66.85 სარეიტინგო ქულა შერჩათ. ასეთი მაჩვენებლით საქართველოს ნაკრებმა ბოლო წლებში უკიდურეს ნიშნულს - მე-17 პოზიციას უწია.

IRB-ის რეიტინგი 22 ივნისისთვის

1.ახალი ზელანდია	90.68
2.სამხრეთ აფრიკა	89.45
3.ავსტრალია	85.86
4.ირლანდია	83.27
5.საფრანგეთი	81.94
6.არგენტინა	81.29
7.ინგლისი	81.23
8.უელსი	80.74
9.ფიჯი	76.02
10.შოტლანდია	75.23
11.სამოა	73.39
12.იტალია	71.23
13.კანადა	70.68
14.ტონგა	69.27
15.იაპონია	67.23
16.რუსეთი	67.17
17.საქართველო	66.85
18.აშშ	65.37
19.რუმინეთი	64.85
20.პორტუგალია	62.16
21.ურუგვაი	61.97
22.ესპანეთი	59.01
23.ჩილე	57.95
24.ს.კორეა	57.90
25.ნამიბია	56.45
26.გერმანია	55.35
27.ყაზახეთი	55.12
28.ტუნისი	55.02
29.ბრაზილია	54.97
30.უკრაინა	54.42

განუგრავა "გიორი ეტოში" ოდიკაძეს და ალექსიძეს შეუერთდა

გიორგი განუგრავამ "გიორი ეტოში" პირველი ვარჯიში ჩაატარა - საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრების კაპიტანი უნგრეთში გასულ კვირას ჩავიდა და ორშაბათს თავის შესაძლო მომავალი კლუბის განკარგულებაში იყო. ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმების საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. შვებულებიდან დაბრუნებულ ფეხბურთელებს პირველ ვარჯიშზე წარუდგინეს ახალი მთავარი მწვრთნელი ატილა პინტერი, რომელიც გუნდს ახალი სეზონიდან უხელმძღვანელებს. "გიორი ეტოს" ღირსებას იცავს საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელი - რატი ალექსიძე და დავით ოდიკაძე.

ენგელაარმა საბერძნეთს მიაშურა

გერმანიის გელზენკირხენის შალკეს 29 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ორლანდო ენგელაარი თემურ ქეცბაიას კლუბის მთავარ კონკურენტში - პანათინაიკოსში გადადის.

ათენურ კლუბში გადასვლამდე და გერმანიაში თამაშამდე ენგელაარი ჯერ კიდევ შარშან ჰოლანდიური ენსხედეს ტვენტედან გადავიდა გელზენკირხენში , თუმცა, როგორც ჩანს, გერმანიაში, ლევან კობიაშვილის კლუბში, საბოლოო ნავსაყუდელი ვერ იპოვა. მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო თანხა ჯერ არ სახელდება, როგორც ბერძენი ჟურნალისტები ამბობენ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ენგელაარის კარიერა ელადის მთავარ პოლისში - ათენში უნდა გაგრძელდეს.

ასათიანი "ლოკომოტივის" განაცხადში შეიყვანეს

მოსკოვის ლოკომოტივში დაბრუნებული ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი, რკინიგზელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის იური სიომინის განცხადებით, უახლოეს მომავალში შევა გუნდის განაცხადში.

გასული წლის ზაფხულში ლოკომოტივის ყოფილმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა ქართველ ფეხბურთელს საკუთარ გუნდში ადგილი ვერ მოუძებნა და ასათიანი კიევის დინამოში გაანათხოვრეს. მართალია, ზამთარში მოსკოვში დაბრუნდა, მაგრამ რახიმოვმა მისი ლოკომოტივში დატოვება არ ისურვა. ცენტრალურმა მცველმა ისევ მიაშურა კიეველებს, რომელსაც სიომინი წვრთნიდა.

უკრაინაში სეზონის დასრულების შემდეგ სიომინი ასათიანთან ერთად რუსულ კლუბს დაუბრუნდა და, როგორც საბოლოოდ გადაწყდა, ლოკომოტივის ხელმძღვანელობა ქართველის იჯარით გაშვებას აღარ აპირებს.

ჰიდინკმა უეფა დაადანაშაულა

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა, რომელიც ოთხი თვე ლონდონის ჩელსის თავკაცი იყო, განაცხადა, რომ უეფას ორი ინგლისური გუნდის ფინალი არ აწყობდა!

ჩვენ არ გვაქვს ამის საბუთი, მაგრამ თამაშამდე გავრცელდა ფრაზა: მანჩესტერი და ბარსელონა - ეს ოცნების ფინალია! ინგლისური გაზეთები ბევრს წერდნენ, რომ უეფას არ აწყობს ინგლისური ფინალი. როცა ორი გუნდი ფინალში ხვდება ერთმანეთს და ეს ორი გუნდი იგივეა, რაც შარშან, ეს არ აწყობს ევროპულ ტელევიზიას. ისინი ბევრ ფულს ხარჯავენ ჩემპიონთა ლიგის ტრანსლირებისთვის. მაგრამ ეს ერთადერთი პრობლემა არ არის. რომ ვერ გავედით, ეს, ერთი მხრივ, ჩვენი ბრალიცაა. როცა ანგარიში 1:0 იყო, ეს შანსი უნდა გამოგვეყენებინა და კიდევ გაგვეტანა, რომ ასეთი უთანხმოება არ მომხდარიყო! - თქვა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

ფერგიუსონი: "ყველაფერი მარტივადაა"

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა აღიარა, რომ წინა სეზონში კრიშტიანუ რონალდუ მისი თხოვნით დარჩა წითლებში , ახლა კი მის წასვლას წინ არ აღუდგა.

ყველაფერი ძალიან მარტივადაა - მას გუნდის შეცვლა უნდოდა. სწორად მოვიქეცით, რომ ამდენ ხანს დავტოვეთ ჩვენთან . წინა ზაფხულს რონალდუ მხოლოდ იმის შემდეგ დარჩა მანჩესტერში , რაც ფერგიუსონი ჩაფრინდა მასთან მადეირაში, სადაც ის საზაფხულო არდადეგებს ატარებდა. ინგლისურ გრანდთან ერთად კრიშტიანუმ ყველა პრიზი და ჯილდო მოიგო, ახლა კი ახალი მიზნებისთვის მადრიდის რეალთან ერთად განაგრძობს ბრძოლას. თავად სერ ალექს ფერგიუსონიც და წითლების სამმართველო შტაბიც თანახმაა სამეფო კლუბის თავბრუდამხვევ შეთავაზებაზე და რამდენიმე დღეში ეს ოფიციალურადაც დადასტურდება. ამის შემდეგ რონალდუ ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდება.

თავად კრიშტიანუ ხვდება, რომ ამ ტრანსფერის შემდეგ უფრო მეტი მტერი გაუჩნდება, მაგრამ ამის არ ეშინია. პირიქით, ის ამბობს, რომ დიდი სიამოვნებით უყურებს სიძულვილს მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივრების თვალებში.

პრანიჩი "ბაიერნში" გადადის

მიუნხენის ბაიერნმა სატრანსფერო პერიოდში მეექვსე ფეხბურთელი შეიძენა. რეკორდმაისტერებმა ჰოლანდიური ჰერენვენისგან 27 წლის ხორვატი ნახევარმცველი დანიელ პრანიჩი იყიდეს. ტრანსფერი ოფიციალურად არ გაფორმებულა, თუმცა ორ კლუბს შორის შეთანხმება უკვე შედგა.

ტრანსფერის ღირებულება, რაც მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო, არ ხმაურდება.

პრანიჩმა, რომლის შეძენა ბაიერნის ახალ მწვრთნელს ლუის ვან გაალს ყველაზე მეტად უნდოდა, კლუბთან უკვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი.

ბაიერნში ის ნახევარდაცვის მარცხენა ფრთას გააძლიერებს.

მარიო გომესის (შტუტგარტი), ანატოლი ტიმოშჩუკის (სანკტ პეტერბურგის ზენიტი), ივიცა ოლიჩის (ჰამბურგი), ალექსანდერ ბაუმიოჰანის (გლადბახი) და ედსონ ბრაააფჰაიდის (ენსხედეს ტვენტე) შემდეგ პრანიჩი რეკორდმაისტერის მეექვსე ახალი შენაძენია.

წყალბურთელები ყოფილი იუგოსლავიელებით გაძლიერდნენ

ანა ბერიძის ფოტო

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი) დანაპირების ასრულებას შეუდგა. დანაპირები კი ასე ჟღერს: საქართველოში წყალბურთის აღორძინება და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის საგზურის მოპოვება, მანამდე კი გუნდის გაძლიერება. გუშინ სწორედ გუნდის გაძლიერების მოწმენი გავხდით. სეოკ-ის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა საქართველოს პასპორტები გადასცა ყოფილი იუგოსლავიის სკოლის ხუთ წარმომადგენელს.

ხორვატები მარკო ელაჩი და მარკო ელეზი, მონტენეგროელები მარკო კორდიჩი და იოვან პოპოვიჩი და სერბი ვლადიმერ მარკოვიჩი დღეიდან საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ.

საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის ალექსანდრე ბითაძის თქმით, ხუთივე ლეგიონერი ექსტრაკლასის მოთამაშეა და სერიოზულ კლუბებშიც თამაშობენ. მათი დახმარებით საქართველოს ეროვნული ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალა გახდება. მათი დებიუტი კი მოგვიანებით გაიმართება. საქმე ის არის, რომ მოქალაქეობის მიღებიდან ათი თვის განმავლობაში უკვე ნატურალიზებულ წყალბურთელებს მთავარ გუნდში თამაშის უფლება არ ეძლევათ, მაგრამ შესაძლოა აქ გამონაკლისთან გვქონდეს საქმე. კერძოდ, მალე საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია. ქართულ მხარეს კი ამ არჩევნებისას ფედერაციის მოხელეთაგან კომპრომისების იმედი აქვს. ვგულისხმობთ ამა თუ იმ კანდიდატისთვის ხმის სანაცვლოდ ნაკრების ახალწვეულთათვის გამონაკლისის დაშვებას და ვადამდე თამაშის უფლების მიცემას.

როგორც არ უნდა იყოს, საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით აგვისტოში მარსელში საფრანგეთის ნაკრებთან ერთობლივ შეკრებას გაივლის, მერე კი ლუგანოში B კატეგორიის ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპზე (6-13 სექტემბერი) იასპარეზებს.

ლუგანოში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან ჰოლანდია, მასპინძელი შვეიცარია, პოლონეთი, მალტა და დიდი ბრიტანეთი.

შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპს მაისში მალტა მასპინძლობდა, სადაც საქართველოს ნაკრებმა ირლანდიასა და ფინეთს დიდი ანგარიშით სძლია და მასპინძლებთან დამარცხდა.

რონალდუს და კაკას ირლანდიაში ელიან

მადრიდის რეალი კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. გახმაურებული ტრანსფერების შემდეგ სამეფო კლუბმა გადაწყვიტა, ახალი ფეხბურთელები დუბლინში გამოეცადა. საუბარია რონალდუსა და კაკაზე. 20 ივლისს ახალბედა ვარსკვლავები რეალის მაისურებით ირლანდიურ შემროკ როვერზს დაუპირისპირდებიან. კლუბის დირექტორის ხორხე ვალდანოს განცხადებით, ესპანელები ირლანდიაში 13-დან 22 ივლისამდე მოემზადებიან. ვიცით, რომ შემროკ როვერზი პოპულარული კლუბია და მასთან შეხვედრა ახალი სეზონისთვის მომზადებაში ნამდვილად დაგვეხმარება , - ამბობს ვალდანო.

მატჩი Tallaght Stadium-ზე გაიმართება. აქედანვე ცნობილია, რომ რეალი VS შემროკ როვერზი ანშლაგით ჩაივლის. მას შემდეგ, რაც ირლანდიელთა მოწინააღმდეგის ვინაობა გაცხადდა, 3,5-ათასიანი სტადიონის ბილეთები სალაროებიდან 48 საათში გაქრა.

აჟიოტაჟის მიუხედავად, დიდი შანსია რეალის ახალწვეულებმა საერთოდ არ ითამაშონ დუბლინში. კრიშტიანუ რონალდუმ სეზონი მანჩესტერში მსუბუქი ტრამვით ჩაამთავრა. რაც შეეხება კაკას, ბრაზილიელი კონფედერაციის თასზე იმყოფება ეროვნულ ნაკრებთან ერთად და შესაძლოა მისი საზაფხულო არდადეგები დუბლინამდე არ დასრულდეს, თუმცა, ამის მიუხედავად, ირალანდიაში სამეფო კლუბს მოუთმენლად ელიან.

ბუნდხენი საეჭვო აღარ არის

მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი ჟიზელ ბუნდხენი ცნობილი ამერიკელი ფეხბურთელის ტომ ბრენდისგან შვილს ელოდება. არც ისე დიდი ხნის წინ ეს ამბავი მოდელმა ოფიციალურად დაადასტურა. თუმცა ჟურნალისტებისთვის ეს ფაქტი დიდი ხნის წინ გახდა ჭორაობის მიზეზი.

პირველად ჟიზელის ორსულობასთან დაკავშირებით პრესა სან-პაულოს ჩვენების დროს დაეჭვდა. მოდელის ოდნავ წამოზრდილმა მუცელმა საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა. ბუნდხენი ორსულობას კატეგორიულად უარყოფდა, თუმცა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მომავალმა დედამ ეს ფაქტი დაადასტურა.

ამის მიუხედავად, სუპერმოდელს უკან არ დაუხევია და ძველი შემართებით აგრძელებს კარიერას. ის სიამოვნებით დათანხმდა ესპანური სამოდელო სახლის წინადადებას Loewe-ის სახე გამხდარიყო და ფოტოსესიას ახალი სარეკლამო კამპანიისთვის უკვე შედგა. მოდელმა ადვილად მოირგო ვნებიანი კატის იმიჯი. ახალ ფოტოებზე სწორედ Loewe-ს აქსესუარების საშუალებით საზოგადოება ჟიზელ ბუნდხენის სხეულს ჩვეულ ფორმაში იხილავს.

ავსტრალიამ ტანმოვარჯიშე დაკარგა

ავსტრალიელი ტანმოვარჯიშის, ქვინსლენდის შტატის ყოფილი ჩემპიონის, 19 წლის მიშელ მეიტლენდისთვის ვარჯიშის დროს მიღებული თავის ტრავმა სასიკვდილო აღმოჩნდა. 18 ივნისს მეიტლენდი იატაკიდან 60 სანტიმეტრის სიმაღლის აკრობატული ბილიკიდან ჩამოვარდა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქალაქ ტაუნსვილის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების მცდელობა, გადაერჩინათ სპორტსმენი, უშედეგო გამოდგა.

ქვინსლენდის შტატის ტანვარჯიშის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა უეინ ჰილმა უბედური შემთხვევის თაობაზე კომენტარი გააკეთა. მისი განცხადებით, ტანმოვარჯიშემ თავი ჩამოარტყა ბილიკის კიდეს. ადგილობრივმა პოლიციამ საქმის მასალების შესწავლა დაიწყო. გამოძიების შედეგები მალე გახდება ცნობილი.

რიბერი რეალში - შეთანხმება მიღწეულია

რიბერიმ მადრიდისკენ აიღო გეზი

თუ ესპანურ მედიას დავუჯერებთ, რეალსა და ბაიერნს შორის მიმდინარე მოლაპარაკება ფრანკ რიბერის ტრანსფერის თაობაზე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და ფრანგი ვარსკვლავი ფლორენტინო პერესის რიგით მესამე შენაძენი გახდება.

რეალმა რიბერის ტრანსფერზე აქტიური მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ჩაიშალა დავიდ ვილიას ტრანსფერი. გაზეთ ასის ინფორმაციით, ორი კლუბი თითქმის ყველაფერზე შეთანხმდა და რიბერის ტრანსფერს ჩაშლა არ ემუქრება. არსებობს მცირე უთანხმოება თანხაზე, თუმცა ორი კლუბი ალბათ 60 მილიონ ევროზე შეთანხმდება.

იგივე ინფორმაციას თითქმის ყველა ესპანური გაზეთი ბეჭდავს - შესაძლოა რიბერი თვის ბოლომდე გახდეს რეალის ფეხბურთელი.

ამ საქმეში ჩართულია ზინედინ ზიდანიც, რომელმაც რიბერი რეალში გადასვლაზე დაითანხმა, თუმცა საფრანგეთის ნაკრების ახლანდელ ლიდერს თავადაც სურდა ბაიერნის დატოვება. ასე რომ, ზიდანს ფეხბურთელის გადაბირება არ გასჭირვებია.

თუ ეს ტრანსფერი შედგა, რეალი მესამე სუპერვარსკვლავით გაძლიერდება, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პერესმა მეთოდები შეცვალა. პერესი უკვე იყო რეალის პრეზიდენტი, მაგრამ მაშინ ის გალაქტიკურ კლუბს თანამიმდევრულად აშენებდა - ჯერ ფიგუ იყიდა, მერე ზიდანი, რონალდო და ასე შემდეგ. პერესი ყოველწლიურად ყიდულობდა თითო ვარსკვლავს. ახლა კი, როგორც ჩანს, სამეფო კლუბის პრეზიდენტს ძალიან ეჩქარება - გალაქტიკურ კლუბს მომავალი სეზონისთვის ამზადებს.

პელეს 10 საოცრება

პელე - ფეხბურთის მეფე

პელე ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. მსოფლიო ფეხბურთის მეფე, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, ადამიანი, რომელიც მინდორზე სპექტაკლებს დგამდა... მოკლედ, თუ საქმე ეხება ფეხბურთს და პელეს, საუბარი მხოლოდ აღმატებულ ტონალობაში შეიძლება, მაგრამ არის ერთი ნიუანსი: ფეხბურთის გენიოსს პროგნოზების გაკეთება უჭირს. თუმცა, სიტყვა უჭირს სწორად არ არის შერჩეული. თუ პელემ პროგნოზი გააკეთა, თამამად შეგიძლია თქვა, რომ ყველაფერი პირიქით მოხდება. სულ ახლახან კონფედერაციის თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩში პელემ იწინასწარმეტყველა, რომ იტალია ბრაზილიას დაამარცხებს. რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის - სკუადრა აძურას სრული ფიასკო.

სწორედ ამის შემდეგ მოინდომეს სააგენტო gola.com-ის ჟურნალისტებმა პელეს ყველაზე აბსურდული ათი პროგნოზის ამორჩევა.

10. ჩინეთი 2002

პელეს პროგნოზი: ჩინეთის ნაკრები 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბარიერს გადალახავს.

რა მოხდა სინამდვილეში: ჩინეთის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი ბოლო ადგილზე დაასრულა. ამას რა უჭირს, ჩინელებმა ქულაც ვერ აიღეს და მუნდიალი საერთოდ უგოლოდ დატოვეს.

9. ესპანეთი 1998

პელეს პროგნოზი: ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფავორიტია.

რა მოხდა სინამდვილეში: ესპანეთის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, ფრედ დაასრულა მატჩი პარაგვაისთან და დამარცხდა ნიგერიის ნაკრებთან.

8. კოლუმბია - ამერიკული ოცნების მაგალითი

პელეს პროგნოზი: კოლუმბია მოიგებს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატს.

რა მოხდა სინამდვილეში: კოლუმბიის ნაკრები ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა, საკუთარ კარში გატანილი გოლის ავტორი ანდრეს ესკობარი კი სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოკლეს.

7. არგენტინა - საფრანგეთი

პელეს პროგნოზი: არგენტინა და საფრანგეთი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ითამაშებენ.

რა მოხდა სინამდვილეში: ორივე გუნდი ჯგუფში ჩარჩა, ფრანგებმა კი საერთოდ უგოლოდ დატოვეს ტურნირი.

6. გამარჯვება გაქცევისთვის

პელეს პროგნოზი: გაიხსენეთ ცნობილი ფილმი, რომელშიც პელე, სილვესტერ სტალონე, მაიკლ კეინი და არდილესი თამაშობენ. ამჯერად პროგნოზმა მხატვრულ ფილმშიც კი არ გაამართლა. ნაცისტებისა და სამხედრო ტყვეების მატჩის პირველ ტაიმში პელე დაშავდა და თქვა, ვეღარ ვითამაშებო.

რა მოხდა სინამდვილეში: ტრავმირებული პელე მეორე ტაიმში გავიდა მოედანზე, მაკრატელათი გოლი გაიტანა და თავისი გუნდის წარმატება განაპირობა.

5. რონალდომ დაამთავრა

პელეს პროგნოზი: რონალდო ვერასდროს ვეღარ ითამაშებს ფეხბურთს, მისი კარიერა დასრულდაო, - თქვა პელემ მას შემდეგ, რაც ელ ფენომენომ 2008 წლის თებერვალში მორიგი ტრავმა მიიღო.

რა მოხდა სინამდვილეში: 2009 წელს რონალდო დაბრუნდა, ჩაირიცხა ბრაზილიურ კორინთიანსში და ამ გუნდში გამართულ პირველ 14 მატჩში ათი გოლი გაიტანა.

4. ნილ ლემპტი - ახალი პელე

პელეს პროგნოზი: 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის (სწორედ აქ გამოჩნდა პირველად ალექს დელ პიერო) პელემ განაცხადა, რომ განელი ნილ ლემპტი მისი მემკვიდრეა.

რა მოხდა სინამდვილეში: საერთოდ გაგიგონიათ ასეთი ფეხბურთელი? ცოტა ხანს პსვ-ში ითამაშა, შემდეგ - ასტონ ვილაში , ქოვენთრიში , ვენეციაში და ანკარაში . მას არც საფეხბურთო კარიერა აეწყო და პირადი ცხოვრებაც ტრაგიკული ჰქონდა - ლემპტის ორი შვილი დაეღუპა.

3. ნიკ ბარმბი - ზიდანი, მალდინი, რონალდო

პელეს პროგნოზი: ნიკ ბარმბი მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდება.

რა მოხდა სინამდვილეში: ბარმბი ერთი ჩვეულებრივი ფეხბურთელი იყო. სულ 23 მატჩი გამართა ინგლისის ნაკრებში და არასდროს არ უთამაშია მუნდიალის ფინალურ ეტაპზე.

2. აფრიკული წარმატება

პელეს პროგნოზი: აფრიკული ქვეყანა მოიგებს მსოფლიო ჩემპიონატს 2000 წლის დადგომამდე.

რა მოხდა სინამდვილეში: უკვე 2009 წელია და აფრიკული ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალზე შორს არ წასულა.

1. ბრაზილია 2002

პელეს პროგნოზი: ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფიდან ვერ გავა.

რა მოხდა სინამდვილეში: ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო

კანავარო ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს

კონფედერაციის თასზე უსახური თამაშის შემდეგ სკუადრა აძურას კაპიტანი ფაბიო კანავარო აცხადებს, რომ არ ღირს ვითარების დრამატიზება და საგანგაშო არაფერი მომხდარა.

რა თქმა უნდა, სამწუხაროა, როდესაც ტურნირს ასე ნაადრევად ტოვებ, რადგან გვინდოდა, აქ რამდენიმე ტაქტიკური სიახლე გამოგვეცადა და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის თავის გამოჩენის საშუალება მიგვეცა. თუმცა, კონფედერაციის თასზე წარუმატებლობამ იტალიის ნაკრების მთავარი მიზანი - მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა - არ უნდა გადაფაროს. ერთი წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში დავბრუნდებით და მაშინ ვნახოთ, სინამდვილეში ვინ რას წარმოადგენს, - აღნიშნა 35 წლის კანავარომ, რომლისთვისაც ბრაზილიასთან ჩატარებული მატჩი სანაკრებო კარიერაში 126-ე აღმოჩნდა. ამ მაჩვენებლით ის გაუტოლდა პაოლო მალდინის, რომელმაც კარიერა დაასრულა.

ლაპორტა იბრაჰიმოვიჩის შეძენის იმედს არ კარგავს

სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე ითქვა, რომ ბარსელონა ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენას შეეცდება. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შვედი ფორვარდის სანაცვლოდ ბარსელონა ინტერში სამუელ ეტო`ოს გაუშვებდა. თითქოს შეთანხმებას მიაღწიეს კიდეც, თუმცა მალე ყველაფერი ჩაიშალა. ახლა კატალონიური გუნდის პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა აცხადებს, რომ იბრაჰიმოვიჩსაც შეიძენს და ეტო`ოსაც შეინარჩუნებს.

კონტრაქტის მიხედვით, ეტო`ოს ერთი წელიწადი კიდევ აქვს თადარიგში. სრულიად ბუნებრივია, როდესაც ფეხბურთელი და კლუბი ერთმანეთს ხვდებიან, რათა საკითხები გადაწყვიტონ და ოპტიმალურ შეთანხმებამდე მივიდნენ. ისევე როგორც გვარდიოლას, მეც მინდა, რომ სამუელი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში დარჩეს გუნდში. რაც შეეხება ჩვენს სატრანსფერო საქმეებს, შემიძლია ვთქვა, რომ ბაიერნს რიბერის გაშვება არ სურს. ასევე მოლაპარაკება გვქონდა ვალენსიასთან დავიდ ვილიას საკითხზე. ჩემთვის არასოდეს არავის არ უთქვამს, რომ მას რეალში გადასვლა სურს. მანჩესტერ სიტის ფორვარდი რობინიო ნამდვილად გამორჩეული მოთამაშეა, მაგრამ მისი არავითარი შეთანხმების შესახებ არ მსმენია. ინტერს ზლატან იბრაჰიმოვიჩის თაობაზე მივმართე, მაგრამ ჯერ უცნობია, რითი დასრულდება ეს ისტორია , - ამბობს ლაპორტა.

მაგათი ოფიციალურად წარადგინეს

ის, რომ ფელიქს მაგათი შალკეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა, სეზონის დასრულებამდეც იყო ცნობილი, თუმცა გელზენკირხენულ გუნდში გამოცდილი სპეციალისტი ოფიციალურად მხოლოდ ორშაბათს წარადგინეს.

ის, ვისაც წარმატების მიღწევა სურს, შალკეზე უკეთეს გუნდს ვერ იპოვის, - აღნიშნა მაგათმა, - მიუნხენის ბაიერნის შემდეგ შალკე , რასაკვირველია, გერმანიის ყველაზე მნიშვნელოვანი კლუბია. მე ვიცი, რომ ფანები ამ კლუბისგან მხოლოდ ტიტულს ელიან და მჯერა, რომ შალკესთან ერთად ამის მიღწევა შემიძლია .

"სიტი" სანტა კრუსით გაძლიერდა

როგორც ჩანს, მანჩესტერ სიტის ხელმძღვანელობა სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას და მომავალ სეზონში პრემიერლიგის დიდი ოთხეულისთვის კონკურენციის გაწევას. გასულ სეზონში შეძენილ რობინიოს ახალი ვარსკვლავებიც ემატება. ორიოდე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ თვის ბოლომდე სიტი კარლოს ტევესს შეიძენს, თუმცა სანამ არგენტინელთან გაფორმდება კონტრაქტი, ქალაქელებმა ბლექბერნისგან პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუზი იყიდეს. ამის შესახებ მანჩესტერ სიტის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. ტრანსფერის დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ, ბრიტანული მასმედიის ცნობით, 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ მანჩესტერელებმა 18 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

სიტის მთავარ მწვრთნელს მარკ ჰიუზს, რომელიც თავის დროზე მიუნხენის ბაიერნიდან ბლექბერნში კრუსის გადაყვანის ინიციატორი იყო, პარაგვაელის მანჩესტერში მიწვევა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში სურდა. თუმცა, მაშინ ფეხბურთელმა ბლექბერნში დარჩენა გადაწყვიტა.

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

ბეტონშემრევი:
BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)

ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერებში გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ

1) ა/წ 9 ივნისს სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო საქონლის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: შ.პ.ს. "საკანცელარიო სამყარო" N1; N3; N4; N5; N6; N7; N9; N11; N13; N14; N15; N16; N17; N18; N19; N20; N22; N23 ლოტებზე. შ.პ.ს. "ფორმატი"-ლოტი N10-ზე, ხოლო შ.პ.ს. "გიორგი კანდელაკი ვესტა"- ლოტი N2 და N12 ლოტებზე.

2) ა/წ 5 ივნისს კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: შ.პ.ს. "ალტა"- N1; N4; N9 ლოტებზე; შ.პ.ს. "ესაბი"- N8; N10 ლოტებზე; შ.პ.ს. "ორიენტ ლოჯიკი"- N2; N17 ლოტებზე; შ.პ.ს. "ზახარი"- N12; N14 ლოტებზე; შ.პ.ს. "იუ-ჯი-თი"- N3; N7; N11 ლოტებზე; შ.პ.ს. "ორიონ ტექნოლოჯი"- N19; N13 ლოტებზე;

3) ა/წ 12 ივნისს ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის 38-ე კმ-ზე ავტომანქანების სადგომის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "ინდუსტრია 2".

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ "24" საათის 2009 წლის 26 მაისის 115 ნომერში გამოქვეყნებული იქნა, ქ. გარდაბანი თბილსრესის დასახლება I კვ. I კორ. მიმდებარედ 370 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით პრივატიზება, ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით ტექნიკური პირობების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადადო აუქციონი 17 (ჩვიდმეტი დღით) და აუქციონი ჩატარდება 10 (ათი) ივლისს.

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ 2009 წლის 12 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ სატენდერო (გამზომი ხელსაწყოების შესყიდვის მიზნით) განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეიძლება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში; დ. აღმაშენებლის გამზ.N150 მე-10 სართული. (სატენდერო კომისიის აპარატი)

სატენდერო კომისია

ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ 2009 წლის 19 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ სატენდერო (ნაპირსამაგრი სამუშაოები) განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეიძლება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში; დ. აღმაშენებლი გამზ.N150; მე-10 სართული; სატენდერო კომისიის აპარატი, შემდეგი პირებისაგან: ნონა ჩიქოვანი ტელ: +995 32 439525; მიხეილ მახარაძე - ტელ: +995 32 439555;

სატენდერო კომისია

ტენდერის "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სამუზეუმო სივრცეთა რეაბილიტაცია" განცხადების ცვლილება

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ 2009 წლის 22 ივნისს გამოცხადებული ტენდერის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სამუზეუმო სივრცეთა რეაბილიტაცია" განცხადებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

9.1 იურიდიული პირთათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

ბ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

11. დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია

- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, (ინფორმაცია პრეტენდენტის, ასევე ყველა მონაწილისა და შემსრულებელთა, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ) და მოწვეულ სპეციალისტთა სარეაბილიტაციო პროცესში (ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ანალოგიური სამუშაოებში) მონაწილეობის გამოცდილება და შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი;

- შესასრულებელი სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

- ხარჯთაღრიცხვა (სამუშაოთა სახეობების მიხედვით) ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს საავტორო ზედამხედველობის ხარჯი არაუმეტეს 0,2%-ის ოდენობით.

ხარჯთაღრიცხვა ლოტებზე N2 და N4 წარმოდგენილი იქნეს დღგ-ს გარეშე.

- ხარისხის კონტროლის მექანიზმი;

- მენეჯმენტის გეგმა და სტრუქტურა.

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება №15.32.526

10 ივნისი 2009 წელი

ქ. თბილისის მთავრობის 100%–ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9^1 და მე–14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. განხორციელდეს დანართი 1–ში მითითებული ქ. თბილისის მთავრობის 100%–ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.
2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს დავით მეფარიშვილი (დაბ. 02.04.1973 წელს, პირ. № 01034004756).
3. დაევალოს კომპანიების ლიკვიდატორს: უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადებში.
4. დანართში მითითებული საბინაო – კომუნალური მომსახურების სერვისულ ცენტრებში არსებული დოკუმენტაცია გადაეცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს.
5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს.
6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

დანართი 1

	დასახელება	მისამართი
1	შპს ისანი–სამგორის რ–ნის „ს/კ მომსახურების №95 ს/ცენტრი“	ვაზისუბნის დასახ, II მ/რ-კორპ, №1- 78–11–03
2	შპს ისანი–სამგორის რ–ნის „ს/კ მომსახურების №111 ს/ცენტრი“	ვაზისუბნის დასახ, III მ/რ-IIკვ, კორპ, №3–ა
3	შპს „გლდანულას უბნის ს/კ მომსახურების ს/ცენტრი“	გლდანულა №8 კორპუსი 68–23–19

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. გეგუთში, ვარციხჰესის დასახლებაში საჯარო სკოლის და სოფ. მაღლაკში №1 საჯარო სკოლის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია: **2 ლოტად**

ლოტი 1 - სოფ. გეგუთში, ვარციხჰესის დასახლებაში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

ლოტი 2 - სოფ. მაღლაკში №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

სამუშაოების მიწოდების განხორციელების სავარაუდო ვადაა, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 ოქტომბერი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურეებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (დედანი და ერთი ქსერო ასლი) ქართულ ენაზე, ხელმოწერილი პრეტენდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ერთი დახურული კონვერტით სატენდერო კომისიის აპარატს უნდა წარუდგინოს 2009 წლის 14 ივლისის 10:00 საათიდან 2009 წლის 14 ივლის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: რუსთაველის ქ. №25. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართული. დალუქული კონვერტები გაიხსნება 14 ივლისს 17:00 საათზე.

სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს;

იურიდიული პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილე პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ფიზიკური პირებისათვის;

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიულ პირთათვის;

- ინფორმაცია მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის დავალიანებების არ არსებობის შესახებ;
- იფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ფორმების შესახებ;
- ინფორმაცია შესასყიდი სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ;

სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა განცხადების გამოქვეყნებიდან 24 ივნისის დღის 10:00 საათიდან 14 ივლისის 10:00 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდგომ.

სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვეო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით. სატენდერო წინადადების გარანტიის ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 ლარს რომელიც გადახდილი იქნება შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300253174

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტის მიერ წარმიდგენილი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს ერთი სატენდერო წინადადება ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით, საბანკო ან სადაზღვეო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის იდენობით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, საკონტაქტო პირი - იმედა ბოკელავაძე ტელ: 895901075, 899573767.

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე

მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 (ოთხი) ლოტად :

ლოტი N1 - ქ. თბილისში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მიმდებარე ტერიტორიის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

ლოტი N2 - ქ. თბილისის პოლიციის სამმართველოს ეზოს, გზის და ავტოსადგომის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

ლოტი N3 - ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა N1-ის მიმდებარე ტერიტორიის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

ლოტი N4 - ქ. თბილისში, ნაძალადევის სასაფლაოზე "წმინდა გიორგი"-ს სახელობის ეკლესიის მინათება, მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია.

შესრულების სავალდებულო ვადა: ლოტი N1; ლოტი N2; ლოტი N3; ლოტი N4 - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღე;

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 15 ივლისის 11:00 საათიდან 2009 წლის 15 ივლისის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

3.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოების (4 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 24 ივნისის 11:00 საათიდან 2009 წლის 15 ივლისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მაღრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

სატენდერო კომისია

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და თბილისის მერია აცხადებენ ღია კონკურსს

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 1937 წელს რეპრესირებულ, უსაფლავო, ცნობილ მწერალთა და ხელოვანთა სიმბოლური საფლავის მემორიალის ესკიზურ პროექტზე

კონკურსის მიზანი: მთაწმინდის პანთეონში, 1937 წელს რეპრესირებულ, უსაფლავო, ცნობილ მწერალთა და ხელოვანთა სიმბოლური საფლავის მემორიალის საუკეთესო პროექტის შერჩევა და მისი ხორცშესხმა.

კონკურსის პირობები:

- მემორიალის პროექტი სივრცითი კომპოზიციის, მასშტაბის თვალსაზრისით უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს პანთეონის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ მემორიალურ საფლავებს. მემორიალზე უნდა აისახოს 8 რეპრესირებულის სახელი და გვარი: ალექსანდრე ახმეტელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევგენი მიქელაძე, ნიკოლო მიწიშვილი, პეტრე ოცხელი, ტიციან ტაბიძე, დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჯავახიშვილი; საკონკურსო პროექტის ესკიზები გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; გრაფიკული მასალების შესრულების მანერა თავისუფალია;
- კონკურსში მონაწილეები Yთავისუფალნი არიან მემორიალური კომპოზიციის განსახორციელებლად გამოსაყენებელი მასალების შერჩევაში, მაგრამ მემორიალის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40.000 (ორმოცი ათას) ლარს;
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: პროფესიონალ მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს, ჯგუფური პროექტის წარმოდგენისას მასში ჩართულ არადიპლომირებულ სპეციალისტებსაც;
- კონკურსი ტარდება ერთ ტურად. იგი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში კონკურსის ორგანიზატორები იღებენ გადაწყვეტილებას კონკურსის ჩაშლის, ან მისი ხელმეორედ ჩატარების თაობაზე;

Kკონკურსის ჟიური და მისი მუშაობის რეგლამენტი

- ჟიურის შემადგენლობას ადგენს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და ბრძანებით ამტკიცებს მინისტრი; ჟიურის წევრებს არ აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება; ჟიური ადგენს საკონკურსო პროექტების, მასალების შესაბამისობას კონკურსის პირობებთან და ავლენს ერთ საუკეთესო გამარჯვებულ პროექტს ჟიურის წევრთა ხმის უმრავლესობით, დახურული წესით; ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კონკურსის პრემია

- კონკურსში გამარჯვებული პროექტისათვის დაწესებულია ერთი ფულადი პრემია 5.000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;
- პრემიის დაბეგვრის თანხას, მოქმედი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

კონკურსში მონაწილეთა საავტორო უფლებები

- გამარჯვებული პროექტი გადადის კონკურსის ორგანიზატორის საკუთრებაში, ხოლო არაპრემირებული პროექტი, საკონკურსო მასალები უბრუნდებათ ავტორებს კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო 5 დღის განმავლობაში.
- კონკურსში მონაწილეთა საავტორო უფლებები რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებზე გაიცემა:

- კონკურსის პირობები;
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, მასშტაბი 1:500;
- განაშენიანების ფოტომასალა

მასალები გაიცემა ელექტრონული ვერსიით.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკონკურსო მასალები:

- განმარტებითი ბარათი (არაუმეტეს სამი გვერდისა);
- სიტუაციური გეგმა, მასშტაბი - 1:500;
- მემორიალის გეგმა, მასშტაბი - 1:10;
- მემორიალის ერთი ან ორი ხედი;
- მემორიალის მაკეტი, მასშტაბი - 1:10;
- მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს მსუბუქ პლანშეტებზე (3-6 მმ.) ზომით 80X100 (საანადო საკიდებით); თითოეული პლანშეტის ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა დაიწეროს დევიზი, პლანშეტის ქვედა მარჯვენა კუთხეში კი პლანშეტის ნუმერაცია; დალუქულ კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს დევიზი, ხოლო კონვერტში დაფიქსირებული უნდა იყოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხა, ავტორის/ავტორების ვინაობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი და საპრემიო თანხის პროპორციული განაწილება, დადასტურებული ავტორთა ხელმოწერით; მასალები წარმოდგენილი უნდა იქნას აგრეთვე ელექტრონული ვერსიით.

ყოველ წარმოდგენილ მასალაზე დაფიქსირებული უნდა იყოს დევიზი.

კონკურსის ჩატარების კალენდარული გეგმა

- კონკურსში მონაწილეებზე საკონკურსო მასალები გაიცემა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში 2009 წლის 24 ივნისიდან;
- საკონკურსო პროექტები, მასალები მიიღება თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) (მისამართი: თბილისი, სიონის ქ. N8) 2009 წლის 21 ივლისს 10.00 სთ-დან - 16.00 სთ-მდე;
- საკონკურსო პროექტები გამოიფინება თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) (მისამართი: თბილისი, სიონის ქ. N8) 2009 წლის 22, 23, ივლისს 11.00 სთ-დან - 17.00 სთ-მდე;
- კონკურსში გამარჯვებული პროექტი და ავტორ(ებ)ი, გამოცხადდება თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) 2009 წლის 24 ივლისს, 12.00 საათზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კონსულტაციები გაიმართება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (სამშაბათს და ხუთშაბათს 12სთ-დან 15 სთ-მდე).

მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4
ტელ: (+995 32) 99 03 06

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს სადგურ ზესტაფონის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე 49.70 კვ,მ ფართის, სასადილოს მოწყობის მიზნით დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ

1. **ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

- საიჯარო ქონების მისამართი- სადგური ზესტაფონი
- იჯარით გასაცემი ფართი - 49.70 კვ.მ
- საწყისი საიჯარო ქირა თვეში - 30 ლარი (დღგს-გარეშე)
- "ბე" - 30 ლარი
- იჯარის ვადა - 3 წელი

- განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს " საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული
ტელ: 56 33 48; 56 65 10

- განაცხადების მიღების ვადა - 2009 წლის 24 ივნისიდან 2009 წლის 7 ივლისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

- კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი - 2009 წლის 8 ივლისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.

- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები - "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ანN3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენტიფიკაციო კოდი N202886010.

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. კონკურსის პირობები

2.1 მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოვეთვიურად გადახდა.
2.2 მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა.
2.3 იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;
2.4 ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა. შპს "საქართველოს რკინიგზის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

***3.* საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

1.1 საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

4. იჯარის ხელშეკრულების დადება

4.1 კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს საქართველოს რკინიგზასთან~ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.
4.2 მიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
4.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
4.4 თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

5.1 დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
5.2 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე ასეთი წინადადებები არ განიხილება)
5.3 **"ბე"-ს გადახდის ქვითარი -** "ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.
5.4 კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5.5 იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ, სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
5.6 კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
5.7 კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გაერშე.
5.8 გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგოც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
5.9 კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

6. შენიშვნები და დათქმები

6.1 მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.
6.2 დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
6.3 განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
6.4 თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.
6.5 მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია
შპს "საქართველოს რკინიგზაში"
ტელ.: 56 33 48;
56 65 10;

ცვლილება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 9 ივნისს სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში შევიდეს ცვლილება კერძოდ:
პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-9 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება
სატენდერო კომისია

განცხადება

შპს ფერი აცხადებს, რომ მომზადებულია საწარმოო ობიექტის - **ხადორი 2 ჰესი** -ს საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.
დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჩაჩავას №8 და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).
საჯარო განხილვა მოეწყობა: ახმეტის რაიონი, პანკისის ხეობა, სოფ, ხადორში 2009 წლის 10 აგვისტოს, 14.00 საათზე.
გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **შპს ფერი** -ს ადმინისტრაციას.

შპს ფერი

ქ.თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

2009 წლის 15 ივნისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი N41 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ლოტი N 41
მიწის ნაკვეთის მისამართი - საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.13.03.016.012).
გაცემის ფორმა - აუქციონი;
სარგებლობის ფორმა - საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი - 50 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის ფუნქცია - მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციით.
კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 150 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი `ბე~ განისაზღვროს 3000 ლარით. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.ვ
აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაცემულია იჯარით 2018 წლის 5 დეკემბრამდე

განცხადება

შ.პ.ს."ბლექ სი გრუპი" 5 თვით იქირავებს:
1. 5 ერთეულ 6X4 ავტოთვითმცლელს, კუბატურა - 16
2. 5 ერთეულ 8X4 ავტოთვითმცლელს, კუბატურა - 20

მანქანების გამოშვების წელი: 2000 და ზემოთ.
მანქანები უნდა იყოს ტექნიკურად სრულად გამართული.
ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმის შესავსებად მოგვმართეთ:
საკონტაქტო პირი: ზვიად ბერუაშვილი 877-990-149
z.beruashvili@bsg.com.ge
ოფისი: ვ.ფშაველას გამზირი 71, მე-3 სართული
ტელ: 20-74-74/75 ფაქსი: 20-74-20